

ივანე
ჯავახიშვილის
სახელობის
თბილისის
სახელმწიფო
უნივერსიტეტის
გაზეთი
გამოდის
1927 წლიდან



დაკლული
პროზაეზი
„ქაცარავან მეთოდის“
გამოყენებით

მ-6-7 გვ.



საბჭოთა

უნივერსიტეტი

13 ნოემბერი, პარასკევი, 2009 წ. №13 (2094)

„თბილისის ადვოკატი“ მოქალაქეთა უფლებებს დაცვას

ახალი პროექტი თბილისის მერმა გიგი უგულავამ წარადგინა



თბილისის მერია, მოქალაქეების სამართლებრივი მხარდაჭერის მიზნით, იწყებს მავისტრანტებისთვის ახალ პროექტს სახელწოდებით — „თბილისის ადვოკატი“.

ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტების წინაშე უნივერსიტეტის მერმა გიგი უგულავამ და პროექტის კოორდინატორმა

სევდია უგრეხელიძემ წარადგინა. როგორც ბატონმა გიგი უგულავამ აღნიშნა, პროექტი თბილისელებისთვის უფასო ადვოკატის სამსახურის განვება ისახავს მიზნად და, პროფესიონალ იურისტებთან ერთად, სხვადასხვა უნივერსიტეტების იურიდიული ფაკულტეტის მავისტრანტების ჩართვასაც ითვალისწინებს.

მაია ტორაძე

პროექტი — „თბილისის ადვოკატი“ ორი ძირითადი მიმართულებით განხორციელდება: მოქალაქეთა იურიდიული დახმარება და მომავალი იურისტებისთვის პრაქტიკის გავლა. „თითოეულ თქვენგანს, რომელიც თბილისში მუდმივად ან დროებით ცხოვრობს, ჰყავს მეზობლები თუ ნაცნობები, რომლებიც ხშირად უჩივიან, ვთქვათ, მერიის რომელიმე სამსახურს, ან რომელიმე კერძო კომპანიას. მოქალაქეს, რომელიც არ არის გარკვეული, ვერ აუხსნი, რომ რომელიმე კომპანია კერძო საკუთრებაა და სახელმწიფო რეგულაციას არ ექვემდებარება. მისთვის ყველა ეს უწყება სახელმწიფოს გაგრძელებაა და სულ ერთია, ვინ არღვევს მის უფლებებს. ამიტომ პასუხს გთხოვს შენ — ხელისუფლების წარმომადგენელს. ჩვენ გვინდა მოქალაქეებს შევთავაზოთ სახელმწიფო დახმარების პროგრამა, რომელსაც „თბილისელების

ადვოკატი ეწოდება“, — განაცხადა გიგი უგულავამ. როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, პროექტის მიხედვით, თბილისის თითოეულ მუნიციპალიტეტში შეიქმნება ჯგუფები, რომლებსაც პროფესიონალი იურისტები და ადვოკატები უხელმძღვანელებენ. მასში მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე ის მავისტრანტები, რომელთაც პროგრამის განხორციელებაში ჩართვის სურვილი აქვთ. პროექტში მონაწილეობა მათ სტაჟში ჩათვლება.

„თქვენ მოგინდვთ ურთიერთობა ასაკით, ეთნიკური ჯგუფით, ინტერესით, განათლებით განსხვავებულ ადამიანებთან, რომლებსაც სახელმწიფოსთან მიმართებაში თავიანთი პრობლემები აქვთ. შესაბამისად, ეს სამსახური, იურიდიული დახმარებასთან ერთად, გარკვეული სოციალური თერაპიაა და უნდა გახსოვდეთ, რომ იმ ადამიანისთვის თქვენ წარმომადგენთ სახელმწიფოს. აქედან გამომდინარე, ეს დიდი პასუხისმგებლობაა და დიდ შრომას და პროფესიულ უნარ-ჩვევებს მოითხოვს. მეორე მხრივ, ეს კარგი შესაძლებლობაა პროფესიული უნარ-ჩვევების გამოუმუშავების, დახვეწის და წინსვლისთვის. სტუდენტებს, რომლებიც ამ პროექტში ჩაერთვებიან, შეძლებისდაგვარად დავასაქმებთ მერიის სტრუქტურებში და სხვა დაწესებულებებში“, — მიმართა გიგი უგულავამ სტუდენტებს.

მ-3 გვერდზე

სამ ევროპულ ქართველოლოგს თსუ-ის საპატიო დოქტორის წოდება მიანიჭა

მ-5, 14 გვ.

ბარლინის თავისუფალ უნივერსიტეტთან თანამშრომლობის ხელშეკრულება გაფორმდა

მ-7 გვერდზე

გოტფრიდ გიუგოლდი: „მოუსმინეთ მეცნიერებს ყოველთვის – იქნება ომი თუ მშვიდობა!“

მ-8 გვერდზე

ნანტის უნივერსიტეტთან თანამშრომლობის ხელშეკრულება გაფორმდა

მ-9 გვერდზე

ოტია იოსელიანი: „ზომიერთს ჰგონია, სადაც გაქვება, სამოქალაქო ის არის“

მ-11 გვ.

თსუ-ის კალათხურთის გუნდმა სუპერლიგის პირველი მატჩი მოიგო

მ-13 გვ.

ენობრივ ფაქტებზე გაცხადებული ქართველურ-კავკასიური ნათესაობა

რას ამტკიცებს პროფესორი მერაბ ჩუხუა?

თამარ მარუაშვილი

ახლა, როდესაც იმპერიული რუსეთი, საქართველოს „დალაშქრის“ შემდეგ, ცდილობს ჩვენ წინააღმდეგ წააქეზოს ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები და გააფუჭოს ტრადიციული თუ ძირძველი ურთიერთობები, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ქართველთა და ჩრდილოკავკასიელთა ეთნო-კულტურულ-ისტორიული ერთობა, რომლის ფესვებიც საუკუნეთა ათასწლეულია იკარგება. ეს ფესვები ძალზე უხვად არის განტოტვილი — საერთო ძირები, კულტურა, ტრადიციები... ამ ფესვებმა უნდა გააცოცხლოს დავიწყებული

წარსული და ბიძგი მისცეს ანმოს ახალი ურთიერთობების ჩამოყალიბების თვალსაზრისით — ეს უნდა იყოს ჩვენი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი ხაზი და მიმართულება. ამდენად არის მნიშვნელოვანი ქართველთა და ჩრდილოკავკასიელთა საერთო ძირის ძებნის პროცესში ენობრივი კავშირების არსებობის დასაბუთებაც. სწორედ ამას ემსახურება თსუ-ის პროფესორ მერაბ ჩუხუას უაღრესად საინტერესო და სერიოზული სამეცნიერო ნაშრომი: „იბერიულ-ჩქერიულ ენათა შედარებითი გრამატიკა“, რომელიც 2008 წელს თსუ-ის გამომცემლობამ გამოსცა. პროფესორ მერაბ ჩუხუას ნივთი



წარმოდგენილი მტკიცებულებები ქართველურ და კავკასიურ ენათა ნათესაობის თაობაზე მეცნიერულ წრეებში დისკუსიის თემად იქცა — ფონი პოლიტიკურია, რადგან

ენაში გაცხადებული ნათესაური კავშირები ამტკიცებს იმას, თუ რომელი ცივილიზაციის ნაწილია მიმდევრები ვართ.

არქეოლოგიურ, ლინგვისტურ და ანთროპოლოგიურ მონაცემთა გათვალისწინებით, ცხადი ხდება ზედა პალეოლითში კავკასიის ეთნო-კულტურულ-ისტორიული ერთობის არსებობა, რომელიც, მეზოლითსა და ნეოლითში წარმოშობილი დიფერენციაციით, ძვ. წ. აღ. V-IV ათასწლეულებში დაშლით მთავრდება, ხოლო III ათასწლეულისთვის — კავკასიის მოსახლეობის ძირითადი ეთნიკური ჯგუფების ჩამოყალიბებით.

მ-4 გვერდზე

„თბილისის ადვოკატი“ მოქალაქეთა უფლებებს დაიცავს

ახალი პროექტი თბილისის მერმა გიგი უგულავამ წარადგინა

პირველი გვირგვინი

მან აღნიშნა, რომ პროექტის ძირითადი მიზანია — მოქალაქეებს სახელმწიფოს მიმართ უნდობლობის განცდა გაუქრეთ და იცოდნენ, რომ ამ ჯგუფების სახით არსებობს სახელმწიფოს თუ მსხვილი კომპანიების წინააღმდეგ სარჩელის შეტანის, სასამართლოში საქმის დაწყების და განხილვის ეფექტური მექანიზმი.

ჯგუფს, რომელიც პროექტ „თბილისის ადვოკატი“ იმუშავებს, სრული დამოუკიდებლობა ენიჭება. მაგალითად, თუ მოქალაქეს მერიის რომელიმე გადაწყვეტილება აწუხებს, ამ ჯგუფის დახმარებით საშუალება ექნება — იურიდიული პროცედურების, კანონისა და სამართლებრივი ნორმების დაცვის სასამართლოში თავისი კანონიერი უფლება დაიცვას.

პროექტის მიხედვით დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოქალაქეებთან ელემენტარულ ურთიერთობას და მათთვის საინტერესო საკითხების განმარტებას, რადგან შესაძლოა მან არ იცოდეს, რომ კანონიდან გამომდინარე, მისი პოზიცია მყარი არ არის.

გიგი უგულავამ ყურადღება გაამახვილა ქალაქის დაყოფის ახალ მოდელზე, რომელიც თბილისის საკრებულოს განსახილველად უკვე წარედგინა. ახალი პროექტის მიხედვით, პროფესიონალი იურისტებით და იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებით დაკომპლექტებული ჯგუფები შესაბამის 30 მუნიციპალიტეტში იმუშავებენ.

ადგილი, სადაც მომსახურების სრულ პაკეტს მიიღებს, — განაცხადა ქალაქის მერმა.

მანვე აღნიშნა, რომ მერიის ახალი ინიციატივები არჩევნებთან არავითარ კავშირში არ არის და მასზე მსჯელობა პოლიტიკის სფეროს სტრატეგიაში, პროგრამის განხორციელების პროცესში ხშირად იქნება სასამართლო დავები, რომლის მეორე მხარედაც, შესაძლოა, ზოგჯერ ქალაქის მერია, მერიის რომელიმე სამსახური, ან მუნიციპალური შპს მოგვევლინოს. „ჩვენ ეს გადაწყვეტილება მივიღეთ იმიტომ, რომ სასწრაფო მეორე მხარეს უფრო მნიშვნელოვანი რამ დევს — საზოგადოებაში სამართლებრივი ნიშნის და სახელმწიფოს მიმართ ანტაგონიზმის დაძლევა. რაც მთავარია, პროექტი გააჩენს რეალურ მექანიზმს თითოეული ადამიანისთვის, რომ მან საკუთარი სოციალური უფლება, რომელიც, მისი აზრით, ირღვევა, ეფექტურად და იაფად დაიცვას“, — აღნიშნა შეხვედრაზე.

პროექტში მონაწილეობის ტექნიკური საკითხები სტუდენტებს გააცნო იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა, პროექტის „თბილისის ადვოკატი“ კოორდინატორმა, თბილისის საკრებულოს წევრმა სვედია უგრეხელიძემ.

აღნიშნა, რომ უნივერსიტეტებს ეძლევათ თავისუფლება, თავად წარადგინონ პროექტში მონაწილეობის მსურველი მაგისტრანტები. ისინი გაივლიან სპეციალურ ტრენინგებს, რომელზეც გაეცნობიან იმ



დენტებმა მათთვის საინტერესო შეკითხვები დასვეს.

კითხვაზე, რამდენად შესაძლებელია პროექტში ბაკალავრიატის სტუდენტების ჩართვა, ქალბატონმა სვედია უგრეხელიძემ უპასუხა, რომ პროექტი მხოლოდ მაგისტრანტებსა და სტუდენტებს ექნება, რადგან ეს საქმიანობა გარკვეულ საბაზისო ცოდნას მოითხოვს. თუმცა იმისთვის, რომ მოტივაცია ჰქონდეთ, ბაკალავრიატის დაინტერესებულ სტუდენტებსაც ექნებათ შესაძლებლობა — დააკვირდნენ მუშაობის პროცესს. გამორჩეულ მაგისტრანტებს საქმეში ჩართვის შესაძლებლობაც მიეცემათ. ქალბატონმა სვედია უგრეხელიძემ აქვე აღნიშნა, რომ ეს პროექტი ერთჯერადი არ არის და რომ პროფესიული უნარ-ჩვევების შექმნის საშუალება სხვებსაც მიეცემათ.

კითხვაზე, რამდენად ექნებათ მოქალაქეებს ამ პროექტისადმი ნდობა, თუკი ადმინისტრაციული დავის დროს ორივე მხარეს სახელმწიფო იქნება წარმოდგენილი, გიგი უგულავამ უპასუხა, რომ, თუ მოქალაქე ამ ინსტანციას მიმართავს, უკვე იმის დასტური იქნება, რომ მას ენდობა.

„რაც შეეხება თქვენ მიერ აღნიშნულ სიტუაციას, ასეთ შემთხვევაში კი ადამიანმა სახელმწიფოს წინააღმდეგ სახელმწიფო უნდა გამოიყენოს, რადგან სასამართლოც სახელმწიფო ერთ-ერთი ინსტიტუტია. მე და ნებისმიერი სხვა ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენელი ამ საქმეში არ ვერვით.

ასეთი ინსტიტუტის გაჩენა გამართლებულია იმ თვალსაზრისითაც, რომ საზოგადოებას ჰქონდეს დივერსიფიცირებული შესაძლებლობა — მიმართოს სახელმწიფოს. რაც უფრო მეტი ასეთი ორგანო იქნება, ადამიანი მეტად დაიცავს თავს. მოდით, ასე ვთქვათ, რადგან სულ იმას მიაწინებენ, რომ საქართველოში აღმასრულებელი ხელისუფლება უფრო ძლიერია, ვიდრე სასამართლო, გამოვიყენოთ ეს ძლიერი აღმასრულებელი ხელისუფლება მოქალაქის სასარგებლოდ — იცოდეს მოსამართლემ, რომ ამ კონკრეტული მოქალაქის უკან დგას ძლიერი აღმასრულებელი ხელისუფლება — ქალაქის მერია“, — განაცხადა მან.

დასასრულ, პროექტის პრეზენტაციისა და საინტერესო ინიციატივისთვის ბატონ გიგი უგულავას მადლობა გადაუხადა უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ.

„წარმოდგენილი პროექტი მნიშვნელოვანია მოსახლეობის სამართლებრივი კულტურისა და სამართლებრივი ცნობიერების ჩამოყალიბების თვალსაზრისით. სტუდენტებს კი პრაქტიკის, მომავალ კლიენტებთან ურთიერთობის და პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავების კარგი შესაძლებლობა მიეცემათ“, — განაცხადა რექტორმა.

შეხვედრაზე სტუდენტებმა გიგი უგულავას მიმართეს თხოვნით — გაეკეთებინათ საფეხბურთო მოედანი თსუ-ის მადლიერ კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე, რაზეც ქალაქის მერმა თანხმობა განაცხადა.

პროექტი გააჩენს რეალურ მექანიზმს თითოეული ადამიანისთვის, რომ მან საკუთარი სოციალური უფლება, რომელიც, მისი აზრით, ირღვევა, ეფექტურად და იაფად დაიცვას“

„ჩვენ დავიწყეთ პროგრამა, რომელსაც შქვია, „მოვუსმინოთ თბილისელებს ყველა უბანში“. თბილისის 6 უბანი გეოგრაფიულად და სამართავად ძალიან დიდია. მაგალითად, ადამიანი, რომელიც სოფელ დილოში ცხოვრობს, ვაკე-საბურთალოს გამგეობაში რომ მოვიდეს, ნახევარი თბილისი უნდა გამოიაროს. იგივე პრობლემა ისან-სამგორში, გლდანი-ნაძალადეოში და ა.შ. მარტო გლდანის რაიონი მოსახლეობით ქუთაისზე დიდია. ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ თითოეული რაიონი დავეყყო ისეთ უბნებად, რომელიც ადვილად მისაწვდომი იქნება. მოქალაქეს ეცოდინება, რომ ელემენტარული საკითხების გასარკვევად აღარ მოუწევს ტელევიზიასთან მისვლა და იქვე, დიდ დილოში ექნება

უნარ-ჩვევებს, რომელიც მათ მუშაობის პროცესში დასჭირდებათ. აღნიშნულ საქმიანობაში მაგისტრანტებს კრედიტების გარკვეული რაოდენობაც მიენიჭებათ.

„თქვენ უნდა გაუწიოთ კონსულტაცია მოქალაქეებს და დაეხმაროთ მათ დოკუმენტების მოძიებასა და შედგენაში. პროექტის მონაწილენი, ძირითადად, ორიენტირებული იქნებიან ადმინისტრაციულ დავებზე და საჯარო ინტერესების მქონე ისეთ საქმეებზე, სადაც პიროვნება იჩაგრება არა მარტო სახელმწიფოს, არამედ რომელიმე კომპანიის მიერ. ამავ დროს, ამ პიროვნების საქმიანობა გამოხატავს გარკვეული ჯგუფის ინტერესებს“, — განაცხადა ქალბატონმა სვედია უგრეხელიძემ.

პროექტის პრეზენტაციის შემდეგ სტუ-

პრესკონფერენცია

ტირქნისიდან ბატაცეხული ქართველი ახალგაზრდების მხარდასაჭერად

თამარ მარუაშვილი

12 ნოემბერს მოძრაობა „7 აგვისტოს“ წევრები — თბილისის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ტირქნისიდან გატაცებული ქართველი ახალგაზრდების მხარდასაჭერად შეიკრიბნენ და პრესკონფერენცია გამართეს. მათ კიდევ ერთხელ დააფიქსირეს, რომ ყველა ცივილიზებულ გზას მიმართავენ დაკავებული ახალგაზრდების უმოკლეს ვადაში გასათავისუფლებლად.

დაუბრუნდნენ თავიანთ ოჯახებს და მშვიდობიანად განაგრძონ ცხოვრება და სწავლა. მოძრაობამ „7 აგვისტო“ და თბილისის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტურმა თვითმმართველობებმა შევიმუშავეთ საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის მიმართვის ერთობლივი ტექსტი, რომელიც ხელმოწერისთანავე დაეგზავნება საელჩოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს. რა თქმა უნდა, ჩვენ მათი მხრიდან რეაგირებას ველოდებით“, — განაცხადა პრესკონფერენციაზე თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტმა გიორგი შამათავამ.

მიმართვაში ნათქვამია: „მოგახსენებთ, რომ კონფლიქტის რეგიონში გახშირდა ადამი-

ანთა გატაცება. ამჯერად ცხინვალის სეპარატისტული ხელისუფლების ტყვეობაში იმყოფება სოფელ ტირქნისის საშუალო სკოლის 4 მოსწავლე: გიორგი რომელაშვილი (დაბადებული 1995 წ.), ალექო ცაბაძე (დაბადებული 1995 წ.), ვიტორ ბუჩუკური (დაბადებული 1993 წ.) და ლევან ხშიაძე (დაბადებული 1992 წ.), რომლებიც, სეპარატისტების განმარტებით, საზღვრის უკანონო გადაკვეთის ბრალდებით დააკავეს.

ახსურდულია საქართველოს ტერიტორიაზე ახალგაზრდების დაკავების სამართლებრივი საფუძველი. მეცხრე დღეა, მოზარდები კრიმინალური რეჟიმის უკანონო ტყვეობაში იმყოფებიან. მათი დაკავების რეალური

მიზეზი კი ის არის, რომ ისინი საქართველოს მოქალაქეები არიან. არ არსებობს დაზუსტებული ინფორმაცია დაკავებული ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

მოგმართავთ თხოვნით, გამოიყენოთ თქვენს ხელთ არსებული ყველა დიპლომატიური რესურსი და საშუალება, რათა გაათავისუფლონ უკანონოდ დაპატიმრებული მოსწავლეები“, — მიმართავს ხელს აწერებს: თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი გიორგი შამათავა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი ბექა კვიციანი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტი თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტი მიშა დიაკონიძე, სოხუმის უნივერსიტეტის სტუდენტი თვითმმართველობის პრეზიდენტი გიორგი ბლიაძე, საქართველოს სახელმწიფო აგარული უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი გიორგი ქერქაძე, თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი ლინა გედენიძე, ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი ილია გოგლიძე, თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი შოთა მისაბივილი, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი თენგიზ თევზაძე, კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტი დათო ფოჩხუა და მოძრაობა „7 აგვისტოს“ სხვა წევრები. სტუდენტები დიპლომატიურ კორპუსის რეაგირებას და დატყვევებულთა გათავისუფლებას ელიან.



ენობრივ ფაქტებში გაცხადებული ქართველურ-კავკასიური ნათესაობა

რას ამტკიცებს პროფესორი მერაბ ჩუხუაძე?

პირველი გვირგვინი

უახლეს კავკასიოლოგიურ გამოკვლევებში ფონზე, ყურადღებას იპყრობს XI საუკუნის ცნობილი ქართველი საეკლესიო მოღვაწისა და მემკვიდრის ლეონტი მროველის ცნობები საქართველოსა და კავკასიის ძველი ისტორიის შესახებ და, მათ შორის, კავკასიის ხალხთა საერთო წარმომავლობის კონცეფცია, რომლითაც ისინი ბიბლიური ნოეს შვილთაშვილის — თარგამოსის შთამომავლებად ცხადდებიან, ხოლო მარიამ ღვთისმშობლის ნიღბვედრი ქვეყნის საზღვრებში დასახლდნენ: „აღმოსავლით ზღუა გურგენისა, დასავლით ზღუა პონტოსა, და სამხრით ზღუა ორეთისა, და ჩრდილოთ მთა კავკასია“. კავკასიელითა საერთო წარმომავლობის მროველისეული კონცეფცია მნიშვნელოვანია იმიტომაც, რომ იგი, სავარაუდოდ, უძველეს ტრადიციასაც ასახავდა და, ამავე დროს, თავისი ეპოქის მსოფლმხედველობასა და სულიკვებებასაც გამოხატავდა.



იმანენტური პროცესებითა და საქართველოს სახელმწიფოს კავკასიური პოლიტიკის შედეგად წარმოშობილი კავკასიური სახელმწიფოებრიობის რელიგიურ-კულტურულ საფუძვლად ერთიანი რელიგია და კულტურა გვევლინება, რაც უფრო აახლოებდა საქართველოსა და იმერკავკასიის ხალხებს ერთმანეთთან და საშუალებას აძლევდა — გადაეწყვიტათ მათ წინაშე არსებული ისტორიული პრობლემები.

ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან ისტორიული კავშირის გარდა, არსებობს ენობრივი კავშირებიც, რომელიც მასალური დასტურდება დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილის, თსუ-ის პროფესორ მერაბ ჩუხუაძის უაღრესად საინტერესო და სერიოზულ სამეცნიერო ნაშრომში: „იბერიულ-იჩქერიულ ენათა შედარებითი გრამატიკა“. ნაშრომი ეძღვნება კავკასიისათვის თავდადებული რაინდების — ზვიად გამსახურდიასა და ჯოჰარ დუდაევის მეგობრობას.

დიდი ხანია იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წინაშე მწვავედ დგას იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ცალკეულ ჯგუფებს შორის რეგულარული და კანონზომიერი ბგერათშესატყვისობათა სისტემის გამოვლენის აუცილებლობა. პროფესორ მერაბ ჩუხუაძის ნაშრომი, როგორც უკვე ითქვა, ეძღვნება ქართველური და ნახური ჯგუფის ფუძე-ენათა ურთიერთმიმართების კარდინალურ პრობლემას ისტორიულ გენეზისური თვალსაზრისით.

„გამოცემა წარმოადგენს ლინგვისტურ კავკასიოლოგიაში ისტორიულ-შედარებითი გრამატიკის შექმნის პირველ სერიოზულ ცდას: იგი ეძღვნება საერთო იბერიულ-კავკასიური ფუძე-ენიდან მომდინარე (გენეტიკურად ურთიერთმონათესავე) ქართველური და ნახური ენების ფონოლოგიური სისტემებისა და საერთო ლექსიკური ფონდის ძირ-ფუძეთა სტრუქტურული მოდელების რეკონსტრუქციას.

მონოგრაფია — „იბერიულ-იჩქერიულ ენათა შედარებითი გრამატიკა“ იმთავითვე მიზნად ისახავდა იბერიულ-კავკასიური ენათა ოჯახის ორი ჯგუფის, ქართველური და ნახური ენების ისტორიულ-გენეზისური ურთიერთმიმართების გარკვევას. ეს პრობლემა ნიგნში დადებითად არის გადაწყვეტილი“ — ვკითხულობთ ნიგნის წინასიტყვაობაში.

პროფესორ მერაბ ჩუხუაძის ნაშრომს არა მარტო უდიდესი სამეცნიერო, არამედ ისტორიული მნიშვნელობაც აქვს, რითაც ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით კიდევ ერთხელ ამტკიცდება და დასტურდება საქართველოსა და ჩრდილოკავკასიის ხალხთა ისტორიულ-გენეზისური კავშირი. ჩვენ შემკვიდრებები

ვართ იმ უძველესი ცივილიზაციისა, რომელიც სათავეს ბიბლიური თარგამოსის შთამომავლებიდან იღებს.

პროფესორ მერაბ ჩუხუაძის ვთხოვეთ ეს-აუბრა ამ ნაშრომის მნიშვნელობასა და ღირებულებას, რომელიც კიდევ ბევრჯერ გახდება მსოფლიო დონის მეცნიერთა მსჯელობისა და კვლევის საგანი.

ინტერვიუ პროფესორ მერაბ ჩუხუაძესთან

— ბატონო მერაბ, რით დაინტერესებს თქვენი ნაშრომი მეცნიერთა ფართო წრეს?

— ეს ნიგნი დაინერა, პირველ რიგში, სპეციალისტებისთვის — ლინგვისტ-კავკასიოლოგებისთვის, რომლებიც დაინტერესებული არიან იბერიულ-კავკასიური ენებით, ამ ხალხების წარმოშობისა და ნათესაობის საკითხებით. გარდა ამისა, იგი განკუთვნილია კავკასიელი ხალხის ეთნოგენეზისთან დაკავშირებული მითოხევისთვის, საზოგადოდ, და ასევე სტუდენტებისა და მაგისტრანტებისთვის თსუ-ის სასწავლო პროგრამის ფარგლებში. თემატიკა უძველესია. პრობლემა ამ ხალხთა ნათესაობისა და საერთო წარმომავლობის შესახებ არის უძველესი. ამ საკითხებით დაინტერესება საისტორიო მწერლობაში შეიმჩნევა, დაახლოებით, IX-X საუკუნეებში, როცა უკვე გვაქვს ცნობები იმის შესახებ, არიან თუ არა კავკასიისა და პირიქის იბერიელები ერთმანეთის მონათესავენი. „ქართლის ცხოვრების“ ლეონტი მროველის ვარიანტი იკითხება თეორია იმის შესახებ, რომ კავკასიელი ხალხები (საუბარია კავკასიის აბორიგენ ხალხებზე) საერთო წარმომავლობის არიან. მოგეხსენებათ, არსებუ-

ლი კავკასიური ენები ერთმანეთის მიმართ არ არიან მონათესავენი, მაშინ ჩრდილოკავკასიური ენათა სამი ჯგუფი: იჩქერიულ-ნახური, აფხაზურ-ადიღური და დაღესტნური ვერ იქნება ერთმანეთის მიმართ მონათესავე, ვინაიდან დაცილების ხარისხი ზუსტად ისეთივეა, ვთქვათ, ქართველურსა და იჩქერიულ ენებს შორის, როგორც, თავისთავად, იჩქერიულსა და დაღესტნურს ან იჩქერიულსა და აფხაზურ-ადიღურ ენებს შორის. ურთიერთდაცილებას უწოდებენ დროში განვლილ უძველეს ნათესაობას, რომლის დამტკიცებაც ზოგჯერ ვერ ხერხდება.

— ამ ნიგნში შეიძლება საღისკუსი თემა ნამოჭრას... თქვენი აზრით, რაზე შეიძლება გაკეთდეს აქცენტები, რა არგუმენტებით გამოყარდება საპირისპირო აზრის პოზიციები, რაც ეხება ქართველურ და ჩრდილოკავკასიურ ენათა მონათესაობას?

— ეს საკითხი, თავისი მოთხოვნებიდან გამომდინარე, საღისკუსი თემა იქცა. დღე-ნიღობაში მყოფმა გამოჩენილმა რუსმა მეცნიერმა ნიკოლოზ ტრუბეცკომ, რომელიც ლინგვისტური აზროვნების ბრწყინვალე წარმომადგენელია, თქვა, რომ ქართველური და კავკასიური ენების ურთიერთნათესაობის პრობლემა არის საკითხი რწმენისა. მეცნიერების ნაწილს ეს სჯერა, ნაწილს — არა, მაგრამ ეს თეორია რომ დამტკიცდეს, ამ შემთხვევაში აუცილებელია მიმართულების დადგენა — ბგერათა შესატყვისობის დასაბუთება. როდესაც ერთი სიტყვის ძირის ფარგლებში ასეთი მიმართება დადგინდება, ეს გახდება უკვე არა რწმენის, არამედ მეცნიერულ მტკიცებულებათა საგანი... აი, სწორედ მის ამგვარ მიდგომას ვუპასუხებ, როცა ეს ნაშრომი შევქმენი. დავადგინე ორი ჯგუფის (იჩქერიული და ქართულ-იბერიული) ენებს შორის ნათესაობა და მათ შორის სისტემური მი-

ენათმეცნიერთა ამ ორ უდიდეს ჯგუფს შორის „ბრძოლა, პაექრობა“ განსაკუთრებით თვალში საცემი გახდა გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან და შემდგომშიც პერიოდულად იქცეოდა ხოლმე მსჯელობის საგნად. ამ საკითხზე დისკუსიები რუსეთში წამოიწყო.

ლი სქემის მიხედვით, ბიბლიური ნოეს, ხოლო შემდეგ თარგამოსის შთამომავლებად კავკასიელი ხალხები ითვლებიან. ამ პრობლემატიკას მოვანიებთ, ისტორიული ენათმეცნიერების დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინად ჩამოყალიბების შემდგომ ეტაპზე, არაერთი ნაშრომი მიეძღვნა. XIX საუკუნის შუა წლებიდან პირველი ასეთი მასშტაბური მკვლევარი გახლავთ პ. უსლარი, რომელიც ამბობს, რომ სამხრეთ-კავკასიური, ანუ ქართულ-ქართველური და ჩრდილოკავკასიური, ანუ აფხაზურ-ადიღური, იჩქერიულ-ნახური და დაღესტნური ერთმანეთის მონათესავე ენებია. საინტერესოა, რომ ამ ნათესაობის დამადასტურებელ ერთ-ერთ მაგალითად მას მოჰყავს „გული“-ს აღმნიშვნელი სიტყვა ყველა კავკასიური ჯგუფიდან. მკვლევარი პ. უსლარი ასკვნის, რომ გულის აღმნიშვნელი ძირძველი სიტყვა ყველა კავკასიურ ენას საერთო ძირისა აქვს. მან გააკეთა საფუძვლიანი დასკვნა, რომ ეს იყო საერთო წარმომავლობის ფუძე-ენიდან. ჩვენი ერთიანობა არის წარმომავლობითი, ისტორიულ-გენეზისური და ეს პრობლემა მაშინ დადებითად გადაწყდა პ. უსლართან. მომდევნო პერიოდის სამეცნიერო ლიტერატურაში იწყება ამის საპირისპიროს მტკიცება და, სამწუხაროდ, მთელი შემდგომი პერიოდი ეძღვნება სწორედ იმის დადასტურებას, რომ ქართველები და სხვა კავკასიელები არ არიან ერთმანეთის მონათესავენი. კვლევებში აღნიშნული იყო, რომ ჩრდილოკავკასიელები, რა თქმა უნდა, შეიძლება იყვნენ საერთო წარმომავლობისა, მაგრამ როდესაც აქცენტი კეთდებოდა ქართველებსა და ჩრდილოკავკასიელებზე, ამტკიცებდნენ, რომ ეს ხალხები არ იყვნენ ურთიერთმონათესავენი. ამაში, მაშინაც და დღესაც, მე პოლიტიკურ კონტექსტს ვხედავ — რუსეთში უზარმაზარი სამეცნიერო სისტემა, რუსული კავკასიოლოგია უაღრესად ნიჭიერი მეცნიერებით არის წარმოდგენილი, მაგრამ უნდა ითქვას, რომ უსლარის შემდგომი რუსეთი დაუიწიებთ ამტკიცებს მისი თეორიის საპირისპიროს. ცხადია, ეს არ ხდება დიდიხორის გარეშე. ამ მტკიცებულებებს საერთო დარღობა შეჰყავდა მეფის რუსეთშიც, შემდგომ საბჭოთა იმპერიაშიც და დღევანდელ რუსეთშიც. სამწუხაროა, რომ მე, მეცნიერს, მიხდება პოლიტიკაზე საუბარი ამ შემთხვევაში, მაგრამ ამას გვერდს ვერ ავუვლი, რადგან — თუ ქართველური და ჩრდილ-

მართება. ფაქტობრივად, დამტკიცდა ამ ორი ჯგუფის ენათა ურთიერთმიმართება, ნათესაობა... ანუ ჩემი მონოგრაფიის საფუძველზე დამტკიცდა ამ ენებისა და ხალხების საერთო წარმომავლობა გენეტიკურად.

— ალბათ ამ თეზისის საწინააღმდეგო მისაზრებაც არსებობს...

— რა თქმა უნდა, არსებობს განსხვავებული მოსაზრებები ჩვენშიც და უცხოეთის სამეცნიერო წრეებშიც. მე არ ვამცირებ იმ მეცნიერთა ავტორიტეტს, რომელიც საპირისპიროს ამტკიცებს, მაგრამ, აქვე უნდა ვთქვა, რომ ისინი ან არ არიან ჩვენი ენების სპეციალისტები, ან მხოლოდ ჩრდილოკავკასიური ენების სპეციალისტები არიან. აქედან გამომდინარე, ისინი, ცხადია, ამ ენათა შორის ნათესაობის საკითხს ვერ განიხილავენ ვერც დადებით და ვერც უარყოფით კონტექსტში. ენათმეცნიერთა ამ ორ უდიდეს ჯგუფს შორის „ბრძოლა, პაექრობა“ განსაკუთრებით თვალში საცემი გახდა გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან და შემდგომშიც პერიოდულად იქცეოდა ხოლმე მსჯელობის საგნად. ამ საკითხზე დისკუსიები რუსეთში წამოიწყო. ამას ადასტურებს შესავალი ნერილი ბოკარევისა, რომელიც გახლდათ დაღესტნური ენების გამორჩეული სპეციალისტი, მაგრამ მას ხელი არ მიუხვდებოდა ქართველური ენებზე და, ცხადია, ვერც ბაზას და საფუძველს შექმნიდა ქართველური და დაღესტნური ენების

ჩემს ნიგნში მაგალითისთვის ათას სიტყვაზე მეტია განხილული. ამ სიტყვების ძირი კანონზომიერ, რეგულარულ, სისტემურ მიმართებებს გვიჩვენებს ერთმანეთთან, რაც უტყუარი საბუთია იმისა, რომ კავკასიური ენები და ხალხები საერთო წარმომავლობის არიან.

ურთიერთმიმართების შესახებ. სამაგიეროდ, მის მოპასუხეთა ჯგუფიდან გახლდათ პროფესორი ტოგო გუდავა, რომელიც ყველა დაღესტნური ენის სტრუქტურას იცნობდა და მთელ მსოფლიოში აღიარებული სპეციალისტი იყო. ის ამავდროულად ბრწყინვალედ ფლობდა ქართველურ მასალას და ძალიან დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა სამეცნიერო წრეებში. სამწუხაროდ, დღემდე დაუფასებელია ეს ნიჭიერი და უაღრესად გამორჩეული მკვლევარი. შემოიღია იგივე ვთქვა ქალბატონ ქეთევან ლომთათიძეზეც, რომელ-

იც გახლავთ პირველი ქართველი აკადემიკოსი ქალი, და მის მეუღლეზე, პროფესორ გიორგი როგავაზე, რომლებმაც ფასდაუდებელი ღვაწლი დასდეს ჩვენს მეცნიერებას. ისინი კარგად იცნობდნენ ამ საკითხის პრობლემატიკას და საკუთარი სამეცნიერო მიღწევებით უპასუხეს ბოკარევის თვალსაზრისს. ერთ-ერთი ნერილი ამ დისკუსიაში ქალბატონ ქეთევან ლომთათიძეს ეკუთვნის. ეს ნაშრომი შედეგადად მცდელობა ჩვენს ენებს შორის ნათესაობის დადგენისა, მაგრამ უარყოფითი დამოკიდებულება დღემდე გრძელდება. უცხოელი ლინგვისტი კვიციანი თუთი, რომელიც ამერიკასა და კანადაში მოღვაწე ქართველოლოგი გახლავთ, ამტკიცებს, რომ კავკასიური ენები არ არიან ურთიერთმონათესავენი. ორი წლის წინ მან სპეციალური ნერილი მიუძღვნა ამ საკითხს. მან უარყოფითად გადაწყვიტა ეს პრობლემა, მიუხედავად იმისა, რომ არც დადებითი და არც უარყოფითი მხარე, არსებული ან არარსებული ნათესაობისა, დეტალურად არ განუხილავს. ჩემს ნაშრომში კი ეს საკითხი დეტალურად არის განხილული: ერთი ენის მთლიანი სისტემა შედარებულია მეორე ენის მთლიან სისტემასთან და ეს ძირულ სიტყვათა იმ ჯგუფს მოიცავს, რომელიც არ არის ნათესაობით ერთი ენიდან მეორე ენაში. მათი ნასესხობა არ მტკიცდება.

— მაგალითის ხომ არ დავსახავთ?

— მაგალითად, ქართული ნაცვალსახელი „ის“ და იჩქერიული „ისა“ ან „ის“ ერთი და იმავე მნიშვნელობით — ერთივე ჩვენებითი ნაცვალსახელია და მეორეც; მაგალითად, ქართული „ათი“, მეგრულ-ლაზური „ვითი“, იჩქერიული „ითი“; ქართული „ენა“ და მეგრულ-ლაზური „ანა“, „ანანა“... ჩემს ნიგნში მაგალითისთვის ათას სიტყვაზე მეტია განხილული. ამ სიტყვების ძირი კანონზომიერ, რეგულარულ, სისტემურ მიმართებებს გვიჩვენებს ერთმანეთთან, რაც უტყუარი საბუთია იმისა, რომ კავკასიური ენები და ხალხები საერთო წარმომავლობის არიან. ამის მტკიცებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ცივილიზაციის ისტორიის თვალსაზრისით, ვინაიდან, თვით ისეთი მონიშნულმდეგებიც კი, როგორც იყვნენ დიაკონოვი, სტაროსტინი და თანამედროვე და გასული საუკუნის ლინგვისტიკის სხვა ბუმბერაზები, აღიარებენ, რომ იჩქერიული ჯგუფების ენები, ანუ ნახური ენები არიან პურიტებისა და ურარტულების მონათესავენი. ეს ნათესაობა არის ძირეული, ანუ წარმომავლობითი და ამ კონტექსტში ჩვენი ნათესაობის დამტკიცება ნიშნავს, რომ ჩვენ უძველესი ცივილიზაციის ორგანული ნაწილი ვართ. გამორჩეულ გერმანულ ენათმეცნიერს ჰაინც ფეინრიხს აქვს ნაშრომი ქართველური და შუმერული ენების ნათესაობის შესახებ, რომლის მიხედვითაც, პრაქტიკულად, დამტკიცდა ეს საკითხი. მას ჰყავდა ქართველი წინამორბედი მიხაკო ნერეთელი, რომელმაც პირველი ნაშრომი შექმნა ამ მიმართულებით. თამამად ვიტყვი, ნაშრომი, რომელიც ჰაინც ფეინრიხს ეკუთვნის, უტყუარ ენობრივ მასალაზე დაყრდნობით აჩვენებს ამ ურთიერთკავშირს: ქართული და შუმერული ენები არიან ურთიერთმონათესავე ენები და სწორედ ამ კონტექსტით იკვრება უდიდესი წრე პლანეტის პირველი ცივილიზაციისა, რომლის ორგანული ნაწილი ვხდებით ჩვენც — ამის მიხედვით, ჩვენ ვართ ნაწილი არა უნივერსო, უთვისტომო ხალხებისა, არამედ შუმერული, ურარტული, ჰურიტული, პროტოხეთური ანუ ხათური, ელამური და სხვა დიდი ცივილიზაციებისა, რომლებიც ცალსახად არის აღიარებული დედამიწაზე ცივილიზაციის საწყისად. ამიტომაც აქვს ამის დამტკიცებას დიდი მნიშვნელობა. იქმნება ახალი ინდოევროპული ერა კაცობრიობის ისტორიაში, რომლის წინაპარი კულტურა არის ჩვენი

კულტურა. ეს საერთო-კავკასიური კულტურა, ანუ პროტოხეთური, პალეოკავკასიური კულტურა გახლავთ სწორედ დასრულებული შემდგომი ინდოევროპული კულტურისთვის და ცივილიზაციისთვის. უბრალოდ, აქ საკითხი დგას ასე: ქართველები ამ პროცესის მონაწილე იყვნენ თუ ამ პროცესის გარეშე იდგნენ, რომელთაც არ აქვთ კავშირები უძველესი საწყისებთან... აი, სწორედ ეს მნიშვნელობა აქვს ამ ნაშრომს.

80-5 გვირგვინი

ენობრივ ფაქტებში გაცხადებული ქართველურ-კავკასიური ნათესაობა

რას ამტკიცებს პროფესორი მერაბ ჩუხუა?

მე-4 გვერდიდან

— თქვენ დადეთ ფაქტობრივი მასალა... დაამტკიცეთ, რომ ქართულსა და ჩრდილო-კავკასიურ ენებს შორის ნათესაობა არსებობს ნათესაური კავშირი. ნაშრომის გამოცემის შემდეგ თუ გამოგვხმართ რომელიმე მეცნიერი როგორც მონიშნულად დევე, ისე მხარდამჭერთა „ბანაკიდან“?

— რამდენადაც ვიცი, ასეთი მოცულობისა და მასშტაბის ნაშრომი ამ საკითხებზე, არსობრივი თვალსაზრისით, ჯერ არ ყოფილა. ჩემთვის საყურადღებოა პროფესორ რისმაგ გორდუზიანის მოსაზრება ამ ნაშრომთან დაკავშირებით, რომელმაც დადებით კონტექსტში მოიხსენია ჩემი წიგნი დასახელებულ პრობლემატიკასთან დაკავშირებით. 2008 წელს გამოვიცა პროფესორ მიხეილ ქურდიანის წიგნი, რომელიც იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საფუძვლებს მიმოიხილავს. იქ ჩემთვის საინტერესო იყო კავკასიური და ბასკური ენების ურთიერთ-მიმართების საკითხი, სადაც ავტორი განაგრძობს რენე ლაფონისა (საფრანგეთი) და იან ბრაუნის (პოლონეთი) ადრე არსებულ მეთად საყურადღებო და არგუმენტირებულ თვალსაზრისს, რომლებმაც დაამტკიცეს, რომ ქართველურ-კავკასიური ენები მონათესავეა ბასკურსა.

ამ ნაშრომს, ჯერჯერობით, მონიშნულად აზრის მეცნიერთა ჯგუფიდან გამოხმაურება არ მოჰყოლია. ისინი ამტკიცებენ, რომ ქართველურ ენათა ოჯახი ცალკე არსებობდა და არა კავკასიურს შიგნით და რომ ქართველური ენები ცალკე ქმნიდა დამოუკიდებელ ენათა ოჯახს. მსოფლიოში დაახლოებით 7 ათასი ენაა, რომელიც კლასიფიცირებულია მონათესავე ენათა ოჯახებად და, მათ შორის, ცალკე ოჯახად შეაქვთ ქართველურ ენათა ოჯახი. ჩვენს სკოლას, რომელსაც არნოლდ ჩიქობავას თეორია უდევს საფუძვლად და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერო სკოლა ჰქვია, ასეთი თვალსაზრისი აქვს: დღევანდელ ქართველებში პროტოიბერიული, პალეოკავკასიური ენებისგან შემდგარ ენათა დიდი ოჯახის ნაშთი ჩანს. გადაშენდნენ ჰურიტები, ხეთები, შუმერები, ურარტულები, ელამები, ეტრუსკე-

ბი, იბერები, მაგრამ დარჩნენ მათი ცოცხალი ნათესავეები და მემკვიდრენი. დასავლეთ ევროპაში ეს გახლავთ ბასკები, ხოლო აქ, კავკასიაში, ქართველები და ჩრდილო-კავკასიელები, რომლებიც უძველესი ცივილიზაციის მემკვიდრეები არიან. ამას ამტკიცებს ჩვენი იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერო სკოლა. მონიშნულად დევე მეცნიერთა მტკიცებით გამოდის, რომ ჩვენ ვართ ობლები და ნათესავი არ გვყავს. მაგრამ ფაქტი სახეზეა — ჩვენ ვცხოვრობდით როგორც ევფრატის სანაპიროზე, ასევე მტკვრის სანაპიროზე, ალანის სანაპიროზე და ადგილიც არ შეგვიცვლია. ქართველი დღესაც აქ ცხოვრობს. დააკვირდით საიდან იწყება ევფრატის სანაპირო — ოლთისთან ახლოს. ეს თურქეთის საქართველოა, სადაც ქართველები ცხოვრობენ. ჩვენ ვართ მკვიდრი მოსახლეობა ამ რეგიონისა და ორგანული

თქვენ უკვე აღნიშნეთ, რომ თქვენი მოსაზრებების საპირისპირო თეორიას შეიძლება რუსეთიც დირიჟორებდეს...

— რა თქმა უნდა. თუმცა აქვე აღნიშნავ, რომ ჩემი მტკიცებულება არ არის პოლიტიკური მიზნებით და ზრახვებით განპირობებული, მაგრამ, შედეგიდან გამომდინარე, იგი უაღრესად პოლიტიკურია როგორც რუსეთისთვის, ისე საქართველოსთვის. ვერაფერ აღმოფხვრის ჩრდილოკავკასიელებში საერთო კავკასიურ ცნობიერებას, რომლის ორგანული ნაწილიც ჩვენ ვართ.

კავკასიაში არსებობს ასეთი წარმოდგენა ხალხებზე და ისტორიაზე: ღირსეული და არაღირსეული. არსებობს, ასევე, კავკასიური ცნობიერება — საერთოკავკასიური ღირსება. ჩრდილოკავკასიურ სინამდვილეში ქართველები ყოველთვის იყვნენ ღირსეული წევრები ამ სინამდვილისა. და უფრო მეტიც, იცით

და უფრო მაღალ სახელმწიფოებრივ ურთიერთობებზე. ამიტომაც ებრძვის იარაღით ხელში დღევანდელ საქართველოს.

პროფესორ მერაბ ჩუხუას ნაშრომი სულ ერთი წელია, რაც გამოვიცა, მაგრამ სამეცნიერო წრეებში მას დიდი გამოხმაურება მოჰყვა და შეფასდა როგორც უაღრესად საინტერესო, მასშტაბური კვლევა ენათმეცნიერების ისტორიაში. ენათმეცნიერი, დიდი მასეტრო, პროფესორი ნოდარ ანდლუაძე თავის გამოხმაურებაში წერს: „მე, 80 წლის კაცს, ისეთი განცხადება მაქვს, რომ დროის შინაგანი განზომილებით



ერთი საუკუნე ველოდებოდი ამ წიგნს. ილიას „ქვათა ლაღადის“ შემდეგ ეს წიგნი მესახება „ენათა ლაღადად“! არ მეგულემა გულწრფელი ადამიანი, არა თუ მხოლოდ ენათმეცნიერი, რომ არ შეისმინოს ეს ლაღადისი. ამ წიგნით ენას მიეცა პირუთვნელი სიტყვის უფლება!“

ქართული და შუმერული ენები არიან ურთიერთმონათესავე ენები და სწორედ ამ კონტექსტით იკვრება უდიდესი წრე პლანეტის პირველი ცივილიზაციისა, რომლის ორგანული ნაწილი ვხდებით ჩვენც — ამის მიხედვით, ჩვენ ვართ ნაწილი არა უნიგნური, უთვისტომო ხალხებისა, არამედ შუმერული, ურარტული, ჰურიტული, პროტოხეთური ანუ ხათური, ელამური და სხვა დიდი ცივილიზაციებისა, რომლებიც ცალსახად არის აღიარებული დედამიწაზე ცივილიზაციის საწყისად.

ნაწილი იმ ცივილიზაციისა, რასაც უძველესი ხალხებისა და ენების ცივილიზაცია ჰქვია.

ამ თეორიაზე დაყრდნობით გაიზრდებიან სპეციალისტები, რომელთა თვალსაწიერი ძალიან ფართო იქნება, არსიდან გამომდინარე შეხედვენი ამ პრობლემატიკას და დაცევენ ჩვენს ენობრივ სინამდვილეს, შიშანტიზმის პრინციპს, ანუ იმას, რასაც ჩვენ თვითონ ენობრივი მასალა გვკარნახობს. ჩემი ნაშრომის პრეზენტაციაზე ენათმეცნიერმა ნოდარ ანდლუაძემ გამოხმაურება გამოგზავნა, სადაც ნათქვამია, რომ აქ ამტკიცებდა ენობრივი ფაქტები. ფაქტი კი, როგორც გოეთე წერდა, უკვე თავად არის თეორია.

— თქვენს მტკიცებულებას, გარკვეულწილად, პოლიტიკური დატვირთვაც აქვს.

დალექტანში ბავშვს როგორ ეფერებიან? — „ჩემო ქართველო!“ თუმცა მავანმა არ იცის — ასე რატომ ამბობს. ეს არის აღიარებითი დამოკიდებულება — შენ ის გთვლის თავის ღირსეულ და საოცნებო პარტნიორად და მეზობლად.

— რუსეთს კი სურს ეს ყველაფერი გააქარწყლოს?

— საქართველოსთან სავიზო რეჟიმი სწორედ ამის საპირისპიროდ არის შემოღებული და არა იმის, ჩავა თუ არა მოსკოვი ქართველი. რუსეთს არ სჭირდება ქართველი და ჩეჩენის, ქართველისა და ინგუშის ერთად ყოფნა, მათი ცხოველი კავშირურობა თუნდაც მინიმალურ, ყოფით დონეზე, რომ აღარაფერი ვთქვათ კულტურულ

საპატიო დოქტორები

სამ ევროპელ ქართველოლოგს თსუ-ის საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭა

ევროპელი მკვლევარების დაინტერესება ქართული კულტურით შორეული წარსულიდან იღებს სათავეს. ეს ინტერესი XXI საუკუნეშიც არ განელეზა. უცხოელი მეცნიერები ცნობილი ქართველოლოგიური სკოლის ტრადიციებს დღემდე წარმატებით აგრძელებენ.

27 ოქტომბერს უნივერსიტეტის საერთაშორისო ეკონომიკურ სკოლაში გამართულ საზეიმო ცერემონიაზე 3 ცნობილ ქართველოლოგს: ვინფრიდ ბოდერს, იოსტ გიპერტს და ბერნარდ უტერს ქართველოლოგიის დარგის განვითარებაში შეტანილი დიდი წვლილისთვის, სახელმწიფო უნივერსიტეტში ხანგრძლივი და ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის, ქართული კულტურის პოპულარიზაციისთვის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭათ.

შურთსია ბაროშვილი

საზეიმო ღონისძიებას საელჩოების წარმომადგენლები, ქართველი მეცნიერები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი გიორგი ხუბუა და პროფესორ-მასწავლებლები დაესწრნენ. ცნობილ ქართველოლოგებს თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი დარეჯან თვალითვაძე მიესალმა და აღნიშნა, რომ ეს დღე

მნიშვნელოვანია როგორც ქართველი, ისე ევროპელი მეცნიერებისთვის.

„საქართველოში და მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ იმართება საქართველოსადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, სადაც ეს სამი ევროპელი ქართველოლოგი არ ფიგურირებს. ისინი ამჟამად ჩამოვიდნენ ქართულ დღეებთან დაკავშირებულ საერთაშორისო სიმპოზიუმში მონაწილეობის მისაღებად. ჩვენ საშუალება მოგვცა — განვახორციელოთ თსუ-ის აკადემიური საბჭოს დადგე-

ნილება, რომლის თანახმადაც მათ თსუ-ის საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭათ“, — განაცხადა დარეჯან თვალითვაძემ.

საპატიო დოქტორებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი ხუბუამაც მიმართა და ვრცლად ისაუბრა თითოეული მეცნიერის დამსახურებასა და ღვაწლზე.

„სასამაგრილო, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს საშუალება ეძლევა თუნდაც ასე მოკრძალებულად დააფასოს მსოფლიოში ცნობილი მეცნიერების წვლილი ქართველოლოგიაში. თანამედროვე უცხოელ ქართველოლოგთა შორის ვინფრიდ ბოდერს გამოჩენილი ადგილი უჭირავს. პირველი სერიოზული გამოკვლევა — „ქართული ზმნის ქცევის შესახებ“ ბოდერმა 1968 წელს დაბეჭდა ჰამბურგში. მას შემდეგ მან არაერთი შრომა გამოაქვეყნა როგორც ქართულ, ისე უცხოურ პრესტიჟულ ჟურნალებში. მათ შორის აღსანიშნავია „ძველი ქართული ენის ანბანის ანალიზი“, „ქართველი ბერები ათონის მთაზე და ქართული სამწერლო ენის ისტორია“, „ქართველური ენების წოდებით ბრუნვის შესახებ“, „ხევსურული ანბანების სტრუქტურის ინტერპრეტაციისთვის“, „რუსთაველის პოეტიკა“, „ანაფორა სვანურში“, „ფიქრები ქართული ენის წარსულსა და აწმყოზე“ და სხვა. 1995-2001 წლებში ბოდერი ოლდენბურგის უნივერსიტეტში მუშაობდა, სადაც ყოველ ორ წელიწადში აწყობდა სიმპოზიუმებს თემაზე „კავკასიური ენების ენობრივი პრობლემები“ და სიმპოზიუმზე ქართველ მეცნიერებსაც იწვევდა. ბოდერი მთარგმნელობით მოღვაწეობასაც ეწევა. აღსანიშნავია 1982 წელს გამოქვეყნებული გერმანული თარგმანი თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის მონოგრაფიისა „სონანტოა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში“. იგი ამჟამადც მონაწილეობს ქართულ-გერმანულ ერთობლივ სამეცნიერო პროექტში. ინგლისურენოვანი ქართული სამეცნიერო ჟურნალ „ქართ-

ველოლოგი“-ს რედაქციის წევრია.

საინტერესოა ევროპული მასშტაბით აღიარებული ენათმეცნიერის იოსტ გიპერტის სამეცნიერო მიღწევები. ცნობილია, რომ იგი კარგა ხანია იკვლევს ქართველურ ენებსა და დიალექტებს. მისი ნაშრომებიდან აღსანიშნავია მონოგრაფია „ირანულიდან ნაცესხები სიტყვები სომხურსა და ქართულში“ და სტატიები: „ქართულის ისტორიული ონომასტიკის შესახებ“, „ძველი ქართული თვეების სახელწოდებები“, „სვანური ხალხური სიმღერების სტრუქტურული ასპექტი“, „ქართული ლექსიკოგრაფიის ახალი გზები“, „წმინდა ნინოს ლეგენდა — განსხვავებულ წყაროთა კვლი“ და ა. შ. მან შეადგინა და გამოსცა სვანური ტექსტების სიტყვა-ფორმათა ინდექსი. აღსანიშნავია, რომ მეცნიერი მთარგმნელობით მოღვაწეობასაც ეწევა. მან გერმანულ ენაზე თარგმნა გიორგი კლიმოვის მონოგრაფია „შესავალი კავკასიურ ენათმეცნიერებაში“. მისი ინიციატივითა და მონაწილეობით მაინის ფრანკ-ფურტის უნივერსიტეტში წლებს განმავლობაში იკითხებოდა ქართველოლოგიური დისციპლინები: ძველი ქართული ენა, ახალი ქართული ენა, ლაზური ენა, სვანური ენა, ქართული ლიტერატურის ისტორია, ძველი ქართული ტექსტების ანალიზი, ქართული ეთნოგრაფია. ბატონი იოსტ გიპერტი რამდენიმე გერმანულ-ქართულ სამეცნიერო პროექტსაც ხელმძღვანელობს, რომელთა მიზანია ქართული ენისა და მისი დიალექტების შესწავლა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი დამსახურება ქართული ენის მონაცემთა ელექტრონული ბაზის შექმნის საქმეში. საერთაშორისო პროექტის — „ტიტუს არმაზის“ განხორციელების შემდეგ მან მსოფლიოს მრავალი ქვეყნის და, მათ შორის, ქართველი მკვლევარებისთვის ხელმისაწვდომი გახადა ძველი, საშუალო და ახალი ქართული ძეგლების დიგიტალიზირებული ვერსიები.



მე-14 გვერდი

დაძვეული პრობლემები „ქაცარავას მეთოდის“ გამოყენებით

ინტერვიუ პროფესორ რამაზ ქაცარავასთან

მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებაში უკანასკნელ ხანს ტენდენციად იქცა — მიეცეს კომერციალიზაციის შესაძლებლობა ყველა იმ სამეცნიერო მიგნებას თუ აღმოჩენას, რასაც დადებითი პრაქტიკული შედეგები მოჰყვება. ამ პროცესებმა საქართველოშიც დაიწყო დამკვიდრება. დაწყებული პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე სამეცნიერო ნაშრომებისა და საინტერესო მიგნებების მოძიების პროცესი, რაც წარმატების შემთხვევაში მეცნიერის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, კონკრეტული საწარმოსა თუ მთლიანად ქვეყნისთვის უდავოდ მომგებიანი იქნება.

ქართველ მეცნიერთა დიდი ჯგუფისთვის და საზოგადოების ნაწილისთვის კარგადაა ცნობილი ქიმიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ რამაზ ქაცარავას სახელი. პოლიმერების სინთეზის მის მიერ შემუშავებული ახალი პოლიკონდენსაციური მეთოდების — „აქტივირებული“ და „სილილიური“ პოლიკონდენსაციის შექმნამ კარგა ხანია საერთაშორისო აღიარება მოიპოვა და ზოგი მათგანი ლიტერატურაში „ქაცარავას მეთოდის“ სახელწოდებითაც მოიხსენიება. პოლიკონდენსაციის ახალი მეთოდების გამოყენებით მიიღწევა სხვადასხვა კლასის ახალი პეტეროჯაჭვური პოლიმერების სინთეზი, რაც წარმატებით გამოიყენება სხვადასხვა სამედიცინო ნაკეთობის თუ პრეპარატის დასამზადებლად.

ბატონი რამაზ ქაცარავა ამჯერად სათავეში ჩაუდგება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო პოლიმერებისა და მასალების ინსტიტუტს, რომელიც მისი მიგნებების კომერციალიზაციისთვის ახალ შესაძლებლობებს ქმნის.

მაია ტორაძე

პოლიმერი არის ე.წ. მაღალმოლეკულური ნაერთი, რომელიც მოლეკულათა გრძელი ჯაჭვებისგან შედგება. ასეთ ჯაჭვებს მაკრომოლეკულებს უწოდებენ. სწორედ მაკრომოლეკულების შექმნა ნივთიერებებს გააჩნიათ გარკვეული სამასალე თვისებები (წარმოქმნიან აფსკებს, ბოჭკოებს, გამოიყენება კონსტრუქციულ მასალებად და სხვ.) ან ფუნქციური დატვირთვები (წარმოადგენენ ეფექტურ კატალიზატორებს, არიან გენეტიკური ინფორმაციის მატარებლები და გადამტანები — დნმ, რნმ) და ა.შ.). პოლიმერები ფართოდაა გავრცელებული ბუნებაში. ბევრისათვის კარგად არის ცნობილი ისეთი ბუნებრივი პოლიმერები, როგორებიცაა, მაგალითად, ცილები (ბენჯი, მატყლი, აბრეშუმი და სხვ.), ცელულოზა (ბამბა, მეჩქანი და სხვ.), სახამებელი, ნუკლეინის მჟავები, ბუნებრივი კაუჩუკი. ბევრ მათგანს ადამიანი ფართოდ იყენებს ცხოვრებასა და საქმიანობაში (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ხელსაწყოები, ავეჯი და სხვ.). მაგრამ რადგანაც ბუნებრივი პოლიმერები არ არის საკმარისი რაოდენობით, რათა დააკმაყოფილოს კაცობრიობის მზარდი მოთხოვნები, ამასთან მათი ფასიც საკმაოდ მაღალია, მეცნიერებმა მათი შეიქმნა მათი ხელისაყრად მიღება — სინთეზი დაიწყეს. სწორედ სინთეზური პოლიმერი გახლავთ ჩვენს გარშემო თვალშეჩაეული ბევრი ნივთი — კაპრონისა და ლაცანის ბოჭკო, მრავალი ნაკეთობა კომპიუტერის კორპუსიდან დაწყებული, საწერ-კალამი ან პოლიეთილენის პარკით დასრულებული და სხვ.



პოლიმერები თანდათან დამკვიდრდა მედიცინაშიც. დღეს ის აქტიურად გამოიყენება სამედიცინო კათეტერების, ერთჯერადი შპრიცების, სისხლის გადასხმის სისტემების და სხვა ორგანიზმგარე მოხმარების სამედიცინო საგნების დასამზადებლად.

პოლიმერებს ორგანიზმშიდა მოხმარების სამედიცინო ნაკეთობებსა თუ პრეპარატებშიც იყენებენ. ასეთი პოლიმერები იყოფა ორ დიდ ჯგუფად — მდგრად და განსოვად (ბიოდაშლად ანუ ბიოდეგრადირებად) პოლიმერებად. მდგრადობით უნდა გამოირჩეოდეს გულის სარქველები, სახსრები და ა.შ. ხოლო ისეთი ნაკეთობები, როგორებიცაა, მაგალითად, დროებითი ფუნქციის მატარებელი ქირურგიული ძაფები ან სხვა ნაკეთობები, პოლიმერული ნაწილები და ა.შ. გარკვეული დროის შემდეგ უნდა გაინოვოს და გამოიშვას ორგანიზმიდან.

ბიოდეგრადირებად პოლიმერს უკვე კარგა ხანია იყენებენ მედიცინაში. XX საუკუნის 50-იან წლებამდე გავრცელებული იყო მხოლოდ ბუნებრივი წარმოშობის მასალები. ერთ-ერთი მათგანია კარგად ცნობილი განსოვადი ქირურგიული ძაფი კეტგუტი, რომელსაც ამზადებენ წერილფეხა რქოსანი საქონლის გარკვეული ნაწილებისაგან მიღებული ცილოვანი პოლიმერის — კოლაგენის საფუძველზე. კეტგუტის დადებითი თვისებებია ის, რომ ორგანიზმში იშლება ბუნებრივი ამინომჟავების გამოთავისუფლებით, მაგრამ მას გააჩნია მნიშვნელოვანი ნაკლი — ცილოვანი ბუნების გამო აღიარება გარკვეული ნაწილი ალერგიული რეაქცია აქვს; ასევე, საკმაოდ ძნელია კეტგუტის ბოჭკოს დამზადება ინდუსტრიულ მასშტაბში და მისი სტან-

დარტიზაცია. ამიტომ ქიმიკოსებმა დაიწყეს ფიქრი ისეთი სინთეზური განსოვადი პოლიმერის მიღებაზე, რომელიც გათავისუფლებოდა აღნიშნული ნაკლისგან და, ამავე დროს, არ ექნებოდა მკვეთრი ზემოქმედება ორგანიზმზე. აქვე შევნიშნავთ, რომ მოთხოვნები ორგანიზმშიდა მოხმარების, განსაკუთრებით კი განსოვადი პოლიმერების მიმართ გაცილებით მკაცრია, ვიდრე ორგანიზმგარე მოხმარების პოლიმერული მასალების მიმართ.

გრძელი მოლეკულები ალფა-ამინომჟავების საფუძველზე ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში დიდმა გერმანელმა ქიმიკოსმა ემილ ფიშერმა მიიღო. მან პირველმა შეძლო ქიმიური კავშირებით გადაება ერთმანეთთან სხვადასხვა ამინომჟავა. შევნიშნავთ, რომ ე.წ. ფიშერის მიერ მიღებული პოლიმერები არ იყო საკმაოდ გრძელი (ქიმიკოსები ვიტყვი — მაღალმოლეკულური), რათა ჰქონოდათ სასურველი სამასალე თვისებები — ფიშერი ამ ამოცანას არც ისახავდა, ვინაიდან იმ პერიოდისთვის პოლიმერების მედიცინაში გამოყენების პერსპექტივაც კი არ ჩანდა. ფიშერის მიზანი იყო ეჩვენებინა, რომ ცილები წარმოადგენენ ამინომჟავებისაგან აგებულ გრძელ მოლეკულებს. შემდგომში ამინომჟავების საფუძველზე პოლიმერების (ე.წ. პოლიამინომჟავების) სინთეზის მეთოდები განვითარდა და მნიშვნელოვნად დაიხვეწა. ამან შესაძლებელი გახადა XX საუკუნის შუა წლებში მიღებული ძალიან მაღალმოლეკულური სინთეზური პოლიმერები კარგი სამასალე თვისებებით (ანუ მათ საფუძველზე მიიღებოდა ბოჭკოები, აფსკები, სხვადასხვა ნაკეთობები), მაგრამ მათ არ აღმოაჩნდათ სასურველი დაშლის სიჩქარე ორგანიზმში. გარდა ამისა, ამ პოლიმერებს აღმოაჩნდათ ბუნებრივი ანალოგების — ცილების უარყოფითი თვისება — ინვევდენ ალერგიულ რეაქციებს. ამიტომ ასეთი პოლიმერების გამოყენებაზე, სამედიცინო მასალების სახით, უარი თქვეს.

მეორე მხრივ, ამინომჟავები ძალიან მიმზიდველი „საშენი მასალა“ სამედიცინო დანიშნულების პოლიმერების მისაღებად, რადგან დაშლის შემდეგ ისინი უზრუნველყოფდნენ ორგანიზმს საკვები მასალით — ალფა-ამინომჟავებით. ჩვენ გადავწყვიტეთ, ისე აგვეგო ამინომჟავების შემცველი მოლეკულების გრძელი ჯაჭვი, რომ ცილას არ დამსგავსებოდა. ამისთვის მასში უნდა შეგვეყვანა ჯგუფები, რომლებიც ადვილად დაიშლებოდნენ და პოლიმერი უნდა აგვეგო ისე, რომ ამინომჟავები მაკრომოლეკულების სტრუქტურაში ჩაგვეერთო ისე (არაკანონიერად), რომ ვერ ეცნო რეცეპტორებს და, შესაბამისად, პოლიმერებს არ ჰქონოდათ ცილებისა და პოლიამინომჟავებისთვის დამახასიათებელი ალერგიული რეაქცია. შედეგად შეიქმნა საკმაოდ დიდი და წარმატებული მიმართულება. ამინომჟავების საფუძველზე მივიღეთ ცილების სინთეზური ანალოგები. ცილებისგან ავიღეთ მათთვის დამახასიათებელი სიკეთე (ამინომჟავების გამოთავისუფლება და, შესაბამისად, მკვებავი უნარი) და დაუკარგეთ მას ზემოაღნიშნული უარყოფითი თვისება. ამინომჟავების შემცველი არაკანონიკური მაკრომოლეკულების კონსტრუქციებისთვის ამინომჟავების გარდა საშენ ბლოკებად ვიყენებთ ისეთ არატოქსიკურ ნივთიერებებს, როგორებიცაა ე.წ. ციხივანი რიგის დიოლები და დიკარბოჰიდრატები. შედეგად ჩვენ მიერ მიღებული პოლიმერები გამოირჩევა უაღრესად მაღალი ბიოშეთავსებადობით და სამასალე თვისებებითა ფართო სპექტრით — მაღალელასტიური პოლიმერებიდან ბოჭკოსა და მტკიცე კონსტრუქციულ (ქირურგიისთვის) მასალებამდე.

რამდენი ხანი იმუშავებთ ამ მიგნებაზე და რა შედეგები მოგვცათ მან?

— 30 წელზე მეტია ამ თემაზე ვმუშაობთ. ამ წლების განმავლობაში შევიძულებით ამინომჟავების ახალი ქიმიის (მხედველობაში მაქვს მაკრომოლეკულების ქიმიის).

პრაქტიკულ გამოყენებაზე ორიენტირებული კვლევის პირველი შედეგი იყო ის, რაც ჩვენს მწირ პირობებში შეიძლებოდა გაკეთებულიყო, ანუ გარეგანი მოხმარების პრეპარატები. ჩვენ შევქმენით ე.წ. ხელოვნური კანი (ნუ გაიკვირვებთ — ეს სამეცნიერო ფარგონია) „ფაგობიოდერმი“, რომელსაც უკვე საკმაო რეზონანსი აქვს მსოფლიოში და საერთაშორისო ლიტერატურაშიც მოიხსენიება. ეს არის პრეპარატი, რომელიც შეიცავს ბაქტერიოფაგებს და ანტიბიოტიკებს, ფერმენტებსა და ტკივილგამაყუჩებელ საშუ-

ალებას, გამოირჩევა ქრილობის შეხორცების უაღრესად მაღალი უნარით. გამოიყენება ნეკროზების (ტროპიკული და დიაბეტური), დამწვრობის, ნაგლეჯი თუ ნაფლეთი ქრილობის, ნაკბენების და სხვა ინფიცირებული ქრილობების სამკურნალოდ.

პირველ ეტაპზე ვამზადებდით მხოლოდ აფსკს („ფაგობიოდერმს“), რომელიც ქრილობაზე იდებოდა და შესანიშნავად ახორცებდა მას. შემდეგ უკვე შევქმენით შესასხურებელი პრეპარატი „კოლადერმი“, რომელიც ძალზე მარტივი მოსახმარია. ამგვარი პრეპარატები გამოიყენება არმიოპი, პოლიციამი, მასობრივი კატასტროფების დროს, ჩვეულებრივ საყოფაცხოვრებო სიტუაციებში, ამიტომ მის კომერციალიზაციას ვგეგმავთ. ჩვენი პოლიმერების პრაქტიკაში დანერგვის მიზნით, მიმდინარეობს ინტენსიური ერთობლივი კვლევები აშშ-ის, იაპონიის და ევროპის წამყვან უნივერსიტეტებთან და ფირმებთან. რიგი პოლიმერებისა წარმატებით გადის ნინაკლინიკურ და კლინიკურ გამოცდებს ამერიკაში, ჰოლანდიაში და ჩინეთში.

„ფაგობიოდერმა“ და „კოლადერმა“ საქართველოს მასშტაბით გაიარეს აუცილებელი ნინაკლინიკური და კლინიკური გამოცდები. პრეპარატები დარეგისტრირდა ჯანდაცვის სამინისტროში, მივიღეთ უფლება მის წარმოებასა და რეალიზაციაზე. ჩვენი ინსტიტუტი აქტიურად მონაწილეობს ამ პროცესებში.

როდის დაფუძნდა სამედიცინო პოლიმერებისა და მასალების ინსტიტუტი და რა იმედებს ამყარებთ მის ამოქმედებაზე?

— ახალი ინსტიტუტი, ისევე როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კერძო სამართლის იურიდიული პირი იქნება, რაც მოგვცემს მის უფლებას, რომ პრეპარატის კომპონენტები მოგვების გარეშე ვანარმოთ. მზა პრეპარატს ბაზარზე გაიტანს ფარმაცევტული ფირმა „ნეოფარმი“, რომელთანაც მჭიდრო ურთიერთობა გვაქვს. აღნიშნულ კომპანიასთან ერთად ვაშუშავებთ „კოლადერმის“ მოდიფიცირებულ ვარიანტებს გაძლიერებული ანტიბაქტერიული და სოკოს საწინააღმდეგო თვისებებით. აღნიშნულ თემაზე წარუადგინეთ პროექტი CRDF-STEP 2010 წლის გრანტის მისაპოვებლად. ამერიკული მკაცრი ბიზნეს-ექსპერტის შემდეგ პროექტი გავიდა დასკვნით ეტაპზე. იმედს ვიტოვებთ, რომ აქაც წარმატებას მივაღწევთ. შევნიშნავ, რომ საბაზო პრეპარატი „კოლადერმი“ მომზადდა სწორედ CRDF-STEP საგრანტო დაფინანსებით, რომელიც 2008 წელს მივიღეთ.

სამედიცინო პოლიმერებისა და მასალების ინსტიტუტის შექმნის ინიციატორი გახლდათ უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი გიორგი ხუბუა, რომელმაც დიდი დახმარება გაგვინია. მოგახსენებთ, რომ მე ტექნიკურ უნივერსიტეტში ვმოღვაწეობ და იქ კარგი სამუშაო პირობები მაქვს, მაგრამ ის წინადადება, რაც ბატონმა გიორგიმ შემომთავაზა, ძალიან მომხიბვლელია. კერძოდ, თსუ-ში მამართლებით ვიმუშავებთ — 1) სწავლა (მაგისტრატურისა და დოქტორანტურის დონეზე), 2) კვლევა და 3) პოლიმერების წარმოება ამ პროცესებში ყველა დონის სტუდენტის აქტიური მონაწილეობით. ეს სქემა ძალზე პერსპექტიულია. შევნიშნავ, რომ ასეთი სქემით ბალტიისპირეთში საბჭოთა კავშირის დროსაც კი მუშაობდნენ და იგი ეფექტური იყო, განსაკუთრებით ახალგაზრდა ქიმიკოსების მაღალ პროფესიულ კონდიციამდე აყვანის თვალსაზრისით.

ინსტიტუტს ბაზა თსუ-ის ბიოლოგების კორპუსში ექნება. ჩვენ დიდი ხანია ვთანამშრომლობთ უნივერსიტეტის გუნდთან, რომელსაც ჩემი კოლეგა და მეგობარი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დავით ტულუში ხელმძღვანელობს. დღეისთვის ეს ჯგუფი სასწავლო პროცესს ჩამოშორდა, მთლიანად კვლევაში ჩაერთო და ძალიან ბევრს აკეთებს ჩვენი საერთო წარმატებისთვის. პრაქტიკულად ეს ის ბაზაა, რის საფუძველზეც ინსტიტუტი ყალიბდება.

ჩვენ ვისაუბრებთ თქვენი კვლევების პირველ მიღწევებზე, ამჯერად რა სამეცნიერო სიახლეებს უნდა ველოდოთ? რაზე მუშაობს პროფესორ რამაზ ქაცარავას გუნდი?

„მოუსმინეთ მეცნიერებს ყოველთვის – იქნება ომი თუ მშვიდობა!“

შეხვედრა გოტფრიდ გიუგოლდთან

21-22 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის დელეგაციას მასპინძლობდა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ბერლინის თავისუფალ უნივერსიტეტს შორის, უკვე არსებული სამეცნიერო ურთიერთობების საფუძველზე, გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება. ვიზიტის ფარგლებში ბერლინის თავის-უფალი უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილე გოტფრიდ გიუგოლდი თსუ-ის გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქტორსა და ჟურნალისტებს შეხვდა.

გაზეთის რედაქტორმა ნინო კაკულიამ ბატონ გოტფრიდ გიუგოლდს თსუ-ის 90 წლისთავისადმი მიძღვნილი გაზეთის საიუბილეო ნომერი (ინგლისურ ენაზე) გადასცა და მოკლედ მოუთხრო საუნივერსიტეტო გაზეთის შექმნის ისტორიასა და მისი პოლიტიკისა თუ სტრატეგიის თაობაზე.

გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ ჟურნალისტები დაინტერესდნენ გერმანელი კოლეგების მუშაობის სტილით, ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის გაზეთის მინარსითა და გავრცელების მასშტაბებით. სტუმარს არაერთი შეკითხვაზე მოუხდა პასუხის გაცემა ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის როლსა და მისიზაზეც. ბატონ გოტფრიდ გიუგოლდთან შეხვედრა ერთობ საინტერესო აღმოჩნდა.

საშუალება ეძლევათ იკამათონ და საკუთარი შეხედულებები გამოთქვან მსოფლიოში მიმდინარე პროცესების თაობაზე. ეს პროგრამა 4-8 კვირიან ან 6 თვიან სასწავლო კურსებს ითვალისწინებს.

— **თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აქტიურად მუშაობს სტუდენტთა გაცვლითი პროგრამების მიმართულებით. ეს საკითხი რამდენად პრიორიტეტულია თქვენი უნივერსიტეტისთვისაც?**

— ამ საკითხზე ჩემი კოლეგები მუშაობენ, სამეცნიერო კუთხით თანამშრომლობის ხელშეწყობაზე კი მე ვმუშაობ. თსუ-ის რექტორი, პროფესორი გიორგი ხუბუა 2008 წელს ბერლინის უნივერსიტეტში იმყოფებოდა და ჯერ კიდევ მაშინ დაისახა მომავალი თანამშრომლობის პერსპექტივები. სხვადასხვა ქვეყ-

ისე ყვეთელი პრესაც, მაგრამ მათ სხვადასხვა დატვირთვა აქვთ... მართალია, არა ვარ ჟურნალისტი, მაგრამ შემიძლია სუბიექტური აზრი გამოვთქვა: გერმანული პრესა სერიოზული პრესაა და ნაკლებად არის ორიენტირებული პიროვნების პირადი ცხოვრების აფიშირებაზე. გერმანელი ჟურნალისტები მკაცრად იცავენ ჟურნალისტური ეთიკის ნორმებს...

— **თსუ ყოველთვის აქტიურად იყო ჩამოყალიბების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. მისი წიაღიდან წამოსული სიტყვა ყოველთვის იყო საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევი. ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტი თუ იღებს მონაწილეობას საზოგადოებრივ პროცესებში?**

თამარ მარუაშვილი

— **ჩვენთვის ძალიან საინტერესოა ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის გაზეთის სპეციფიკა, მისი თემატიკა და გავრცელების არეალი. რას გვეტყვი ამის თაობაზე?**

— ჩვენი გაზეთი, როგორც უნივერსიტეტის დამოუკიდებელი ორგანო, უკვე რამდენიმე წელიწადია აღარ არსებობს. იგი ყველაზე დიდი გერმანული გაზეთის დანართის სახით მიწოდებდა მკითხველს და ორ კვირაში ერთხელ გამოდის. რაც შეეხება მოცულობას, დაახლოებით ისეთივე ფორმატისაა, როგორც თსუ-ის გაზეთი.

— **საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თემაზე თუ ამბავილებს ყურადღებას თქვენი საუნივერსიტეტო გაზეთი?**

გაზეთებსაც გამოსცემენ — ასეთი ტიპის გაზეთებს მუდმივი რედაქლეტია არ ჰყავს.

— **თსუ-ის რექტორთან შეხვედრაზე ითქვა, რომ თქვენს უნივერსიტეტში არსებობს ჟურნალისტთა გადამზადების კურსი, სადაც სწავლობენ სტუდენტები და უკვე პროფესიონალებიც. იქნებ უფრო დანერგვით გვესაუბროთ ამ კურსების შესახებ...**

— დაახლოებით 10-12 წლის წინ დაეარსეთ ჟურნალისტების გადამზადების ისეთი პროგრამა, რომელიც გათვლილია როგორც სტუდენტებისთვის, ისე პროფესიონალი ჟურნალისტებისთვისაც. ეს პროგრამა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის გაკეთდა, სადაც თავიდან მონაწილეობდნენ სპეციალისტები რუსეთიდან, უკრაინიდან და ბელარუსიდან, შემდეგ დაემატა ბალტიის რე-

როდესაც კავკასიაში სიტუაცია გართულდა, ჩვენთან სამთავრობო დონეზე მოხდა ამ რეგიონის მცოდნე პროფესორ-ექსპერტებთან შეხვედრა და მათი შეხედულებების გაზიარება. პოლიტიკა, მეცნიერება და ეკონომიკა ერთმანეთთან მუდამ კავშირშია.

ნის უნივერსიტეტებთან ასეთი სახის 150 ხელშეკრულება გვაქვს გაფორმებული, დღეიდან კი უკვე 151-ე. ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტი აქ 7 კაციანი დელეგაციით არის წარმოდგენილი. ჯერჯერობით ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის ხელშეკრულება თანამშრომლობის შესახებ კავკასიის რეგიონში არააგისთან გაუფორმებია, პირველბი თქვენ ხართ... რატომ არის ეს რეგიონი ჩვენთვის ასე მნიშვნელოვანი? გეტყვი, რომ ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორები კავკასიაში კონფლიქტებს იკვლევენ, ამ რეგიონით ევროკავშირის სხვა ქვეყნებიც არიან დაინტერესებული. გერმანელი მეცნიერები კავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში გარემოს დაცვის საკითხებთან ინტერესდებიან. ეს ხელშეკრულება მეცნიერთა გაცვლას ითვალისწინებს სხვადასხვა სფეროში — იქნება ეს პოლიტოლოგია, ეკონომიკა, რელიგიათმცოდნეობა თუ არქეოლოგია... ჩვენი უნივერსიტეტის კარი ღიაა თანამშრომლობისთვის. წარმატებით ვახორციელებთ სტუდენტების გაცვლით პროგრამებსაც, სამაგისტრო პროგრამაც მუშაობს. დასაწყისისთვის, ჩვენი პროფესორების დახლოებით ათკაციანი ჯგუფს გამოვავაზებთ, რომლებიც ადგილზე გაეცნობიან ქართველ პროფესორ-მასწავლებლებსა და სამეცნიერო-სასწავლო პროგრამებს.

— **საქართველოს მასშტაბით გავრცელებული ქართული პრესა ხშირად წერს სხვადასხვა სახის სტატეას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტზე. ინტერესოა, უნივერსიტეტის თემა ბერლინის პრესისთვისაც ისეთივე აქტუალურია, როგორც ჩვენთან?**

— საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია განათლების თემა, რასაც პრესა დიდ ყურა-

ეს კომპლექსური შეკითხვაა. საზოგადოებას მნიშვნელოვნად არ მიაჩნია ამა თუ იმ მოვლენასთან დაკავშირებით რას იტყვის უნივერსიტეტის რექტორი, რადგან იგი პოლიტიკური ფიგურა არ გახლავთ. მათთვის მნიშვნელოვანია კომპლექსური ექსპერტების აზრი და უნივერსიტეტის პროფესორების შეხედულებები თუ მოსაზრებები.

— **როგორ უყურებთ საქართველოში განვითარებულ დემოკრატიულ პროცესებს. განვითარებად ქვეყნებში ყოველთვის მწვავედ დგას უნივერსიტეტის ავტონომიის საკითხი...**

ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტში დაახლოებით 50 ქართველი სტუდენტი სწავლობს. მათი თქმით, საქართველო დემოკრატიზაციის გზას ადგას და დემოკრატიულად ვითარდება.

თქვენს უნივერსიტეტშიც შესაძლებელია ამ პროცესის დადებითი მხარის ზეგავლენა, ბატონი რექტორი ღიად საუბრობს ამა თუ იმ პრობლემაზე და გერმანულ კოლეგებს ცოდნის გაზიარებისა და თანამშრომლობისკენ მოგვიწოდებს. რაც შეეხება უნივერსიტეტის ავტონომიის საკითხს, აბსოლუტური ავტონომია არ არსებობს. ჩვენი უმაღლესი და სასკოლო განათლებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებებს გერმანიის ამა თუ იმ ფედერალური მინისტრის ხელმძღვანელობა ცენტრალურ ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად იღებს.

— **რუსეთის აგრესიის შედეგად საქართველომ მძიმე პერიოდი გამოიარა... როგორ ფიქრობთ, ქვეყნის უმძიმესი მდგომარეობიდან გამოყვანის მიზნით, უნდა გამოიყენოს თუ არა საქართველოს მთავრობამ ის ინტელექტუალური რესურსი, რომელიც უნივერსიტეტს გააჩნია?**

ეს რესურსი აუცილებლად გამოსაყენებელია. როდესაც კავკასიაში სიტუაცია გართულდა, ჩვენთან სამთავრობო დონეზე მოხდა ამ რეგიონის მცოდნე პროფესორ-ექსპერტებთან შეხვედრა და მათი შეხედულებების გაზიარება. პოლიტიკა, მეცნიერება და ეკონომიკა ერთმანეთთან მუდამ კავშირშია. უნივერსიტეტები, მეცნიერები, პროფესორები, რა თქმა უნდა, ყველა აქტიურად უნდა ჩაერთოს ქვეყნის სტაბილური განვითარებისა და ამ პროცესების სწორად წარმართვის საქმეში. ჩვენი დევიზია: მოუსმინეთ მეცნიერებს ყოველთვის — იქნება ომი თუ მშვიდობა...



ამ გაზეთის საშუალებით ჩვენი პროფესორები საზოგადოებას ახალი მეცნიერული აღმოჩენების, კვლევების შესახებ აწვდიან ინფორმაციას, აგრეთვე თავის შეხედულებებს, კომპლექსურ მოსაზრებებსა და ანალიტიკურ დასკვნებს უზიარებენ მკითხველს სხვადასხვა პოლიტიკურ და საზოგადოებისთვის აქტუალურ საკითხებზე. ჩვენი გაზეთის ფურცლებზე სტუდენტების საინტერესო სტატიებსაც შეხვდებით. გაზეთს თავისი რედაქციისა და სტუდენტების დახმარებითაა მისი შინაარსისა და ტექნიკური მხარეზე.

— **სტუდენტები თუ მონაწილეობენ გაზეთის მომზადებაში?**

— დიახ, სტუდენტებიც წერენ, ისინი თავიანთ შეხედულებებს გამოთქვამენ სხვადასხვა საკითხებზე... არსებობს ასევე სტუდენტური ონლაინ-გაზეთიც, სადაც ისინი საკუთარი პრობლემებისა და სტუდენტური ცხოვრების შესახებ წერენ. სტუდენტები პატარა-პატარა

სუბიექტებიც და აღმოსავლეთ ევროპის ის ქვეყნებიც, რომლებიც ადრე სოციალისტურ ბანაკს ეკუთვნოდნენ.

დღეს ამ ქვეყნებიდან ჟურნალისტების მონაწილეობა აქტუალური აღარ არის, რადგან უკვე წამოვიდა ჟურნალისტების ისეთი თაობა,

გერმანული პრესა სერიოზული პრესაა და ნაკლებად არის ორიენტირებული პიროვნების პირადი ცხოვრების აფიშირებაზე. გერმანელი ჟურნალისტები მკაცრად იცავენ ჟურნალისტური ეთიკის ნორმებს...

რომლებიც დემოკრატიული პრინციპებით ისედაც ხელმძღვანელობენ. აქტუალური გახდა ამ სპეციალისტების ურთიერთგაცვლის საკითხი. ამიტომ პროგრამაში ჩაერთეთ დასავლეთის ქვეყნებისა და ამერიკის ჟურნალისტებიც. პროგრამის ფარგლებში მათ

დღეებს უთმობს. ჟურნალისტები, ამ მხრივ, მნიშვნელოვან ფიგურებს წარმოადგენენ. დემოკრატიის პროცესს ხანდახან თან ახლავს დაძაბულობა პრესასა და ხელისუფლებას შორის. როგორც ამერიკასა და ინგლისში, ჩვენთანაც არსებობს როგორც სერიოზული,

მოკლედ

თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის მარტინ-სტრანტის სტაჟირება დაიწყო

ნატო მოვლადე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მარტინ-სტრანტის იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნულ ბიუროში სტაჟირებას გაივლიან. 346 მარტინ-სტრანტიდან, პირველი ეტაპის შედეგად, 100 მსურველი შეირჩა, რომლებიც პრაქტიკულ

უნარ-ჩვევებს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნულ ბიუროში გამოიმუშავენ.

იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს გარდა მარტინ-სტრანტების სტაჟირებაზე კიდევ რამდენიმე დანესტრულებს იზრუნებს: „ერისთავი და კომპანია“, აღმინისტრაციულ საქმეთა პალატა, თბილისის საქალაქო სასამართლო, თბილისის სააპელაციო სასამართლო, ექსპერტიზის ბიურო და უზენაესი სასამართლო. პრაქტიკული სამ-

უშაობის წარმატებით შესრულების შემთხვევაში კი მათი ნაწილი დასაქმდება.

„შერჩეულმა 100-მა მარტინ-სტრანტმა, საკმაოდ რთული კონკურსის გავლის შედეგად, სტაჟირების გავლის უფლება მიიღო. მათი ცოდნა საფუძვლიანია და უკვე მზად არიან პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამოიმუშავებისთვისაც. ჩვენი პარტნიორი კომპანია გვეხმარებიან მათ სტაჟირებასა და შემდგომ უკვე დასაქმებაში“, — განაცხადა იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ თეა ჯუღელმა.

იურიდიული ფაკულტეტის მარტინ-სტრანტის პროგრამის პირველი ეტაპის შედეგად შერჩეულ სტუდენტებთან შეხვედრა 26 ოქტომბერს ჩატარდა. იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს ხელმძღვანელმა ქეთი კვიციანიმ მარტინ-სტრანტებისთვის ბიუროს მუშაობისა და ცვლილებების შესახებ პრეზენტაცია გამართა.

თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის მარტინ-სტრანტების გარკვეული ნაწილი, სტაჟირების წარმატებით გავლის შემთხვევაში, დასაქმდება, თუმცა მათი ზუსტი რაოდენობა წინასწარ განსაზღვრული არ არის.

ნანტის უნივერსიტეტთან თანამშრომლობის ხელშეკრულება გაფორმდა

ნათო მობლაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საფრანგეთის ნანტის უნივერსიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება გაფორმდა. თსუ-ში 24 ოქტომბერს ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს ნანტის უნივერსიტეტის პრეზიდენტი, პროფესორმა ივ. ლეკუნტმა და თსუ-ის რექტორმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ.

ნანტის უნივერსიტეტსა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულება 9 მუხლისგან შედგება და სამეცნიერო სფეროში, სტუდენტთა გაცვლით პროგრამებში, სხვადასხვა ევროპულ და საერთაშორისო კონკურსებში ერთობლივ მონაწილეობას, სამეცნიერო კვლევითი სამუშაოების ფარგლებში სპეციალისტების გაცვლას, საერთო ინტერესების შემცველი სამეცნიერო თემების დამუშავებას, ერთობლივი სემინარებისა და კონფერენციების ორგანიზებას, ორ ქვეყანაში არსებული ტრადიციების გათვალისწინებით დისერტაციების წინასწარ ექსპერტიზას, სამეცნიერო-კვლევითი პუბლიკაციების ურთიერთგაცვლასა და ორმხრივი ინტერესის შემცველ

დარგებში გამოცდილების გაზიარებას ითვალისწინებს.

ნანტის უნივერსიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფრანგული ენის სწავლების გაუმჯობესების შესაძლებლობასაც იძლევა. როგორც თსუ-ის რექტორმა ნანტის უნივერსიტეტის დელეგაციასთან შეხვედრისას განაცხადა, თბილისის უნივერსიტეტი ყველანაირად შეეცდება ფრანგი პროფესორების მოწვევას, რათა სტუდენტებმა სხვადასხვა საგანი ფრანგულ ენაზე მოისმინონ.

„ჩვენ სხვადასხვა პროფესიის ფრანგ სპეციალისტებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობას შევთავაზებთ — ამ გზით შევცდებით თსუ-ში ფრანგული ენის სწავლების გაძლიერებას. ასევე, მნიშვნელოვანია ნანტის უნივერსიტეტთან ერთად გაავაქტიუროთ კონტაქტი ფრანგ ინვესტორებთან. დარწმუნებული ვარ, რომ მათ დაინტერესებთ საქართველოში ფრანგულენოვანი იურისტებისა და ეკონომისტების კადრების მომზადება. მიუხედავად იმისა, რომ თბილისის უნივერსიტეტი ფინანსურად შედარებით შეზღუდულია, ჩვენ შევძლებთ საჭირო სახსრების გამოძენას აღნიშნული გეგმების განსახორციელებლად და იმედი მაქვს, რომ გარკვეულ დახმარებას საქართველოში საფრანგეთის საელჩოსგანაც მივიღებთ“, — აღნიშნა გიორგი ხუბუამ.

თსუ-სა და ნანტის უნივერსიტეტს შორის დადებული შეთანხმება ღონისძიებების საერთო ფინანსებით განხორციელებას ითვალისწინებს. საჭიროების შემთხვევაში უმაღლესი სასწავლებლები დახმარებისთვის სხვადასხვა ორგანიზაციებსაც მიმართავენ.

„ჩვენ გვაქვს სამუალება, მოვიძიოთ დამატებითი დაფინანსება. მინდა აღვნიშნო, რომ

ფრანგი ფიზიკოსების თბილისში ვიზიტის შემდეგ მათი ინტერესი, თსუ-სთან თანამშრომლობის მხრივ, გაღრმავდა. დარწმუნებული ვარ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობა შედეგადაც იქნება. ერთობლივი პროექტების განხორციელების პროცესში საკმაოდ დიდ მხარდაჭერას მივიღებთ საქართველოში საფრანგეთის საელჩოსგანაც“, — განაცხადა ნანტის უნივერსიტეტის პრეზიდენტი ივ. ლეკუნტმა.

ნანტის უნივერსიტეტისა და თსუ-ის ერთობლივი პროექტები განხორციელდება შემდეგ მიმართულებებზე: მეცნიერება და ტექნიკა, ეკონომიკა და მართვა, გარემოს შემსწავლელი მეცნიერებები. ღონისძიებების უკეთ კოორდინაციის მიზნით სპეციალური კომისია ჩამოყალიბდება, რომლის წევრებიც ორივე უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენლები იქნებიან. ხელშეკრულება შეეძლება მუხლის თანახმად, ყოველ წელს მას შესაძლოა დამატოს შესწორებებისა და დაზუსტებების დოკუმენტი, რომელიც სააპრობაციოდ ორივე მხარეს გადაეცემა.

ნანტის უნივერსიტეტთან ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ თსუ-ის სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს მომდევნო 5 წლის განმავლობაში შეეძლება გაცვლით პროგრამებში მიიღონ მონაწილეობა, თუმცა, ორივე მხარის სურვილის შემთხვევაში, ხელშეკრულება შესაძლოა უფრო გრძელვადიანიც გახდეს. როგორც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი ხუბუამ აღნიშნა, ფრანგულ და ქართულ უნივერსიტეტებს შორის დაწყებული თანამშრომლობა ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობის გაღრმავებასაც შეუწყობს ხელს.



მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტის დელეგაციის ვიზიტი

23 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტის დელეგაცია ეწვია. უნივერსიტეტის პრეზიდენტი, პროფესორი ვოლფგანგ ჰერმანი, იურიდიული ფაკულტეტის დეკანი ფლორიან ჰერმანი და კანცლერი, პროფესორი ბერგერი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს პირველად ეწვივნენ. მხარეებმა თსუ-სა და მიუნხენის ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის დადებული ხელშეკრულების თაობაზე იმსჯელეს და სამომავლო გეგმები დასახეს.

ნათო მობლაძე

მიუნხენის ტექნიკურ უნივერსიტეტთან სამეცნიერო თანამშრომლობა ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ევროპულ საუნივერსიტეტო სივრცეში ინტეგრირების საშუალებას აძლევს. თსუ-ის სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს სამეცნიერო ღონისძიებებსა და სხვადასხვა საერთაშორისო პროგრამებში შეეძლებათ მონაწილეობის მიღება. მსოფლიოში ერთ-ერთ წამყვან უმაღლეს სასწავლებელთან თანამშრომლობა პირველ ქართულ უნივერსიტეტს სამეცნიერო განვითარების ახალ პერსპექტივებს უხსნის. შეხვედრაზე მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტის დელეგაციის წარმომადგენლებმა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა, ძირითადად, მიუნხენის ტექნიკურ უნივერსიტეტში არსებული ვითარების შესახებ ისაუბრეს.

„მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტი 13 ფაკულტეტს და 13 კათედრას აერთიანებს. უმაღლეს სასწავლებელში დაახლოებით 24 000 სტუდენტი სწავლობს, 440 პროფესორი მუშაობს და, საერთო ჯამში, ათასზე მეტი თანამშრომელი ითვლება. ბოლო წლებში ეკონომიკის ფაკულტეტზე სწავლის მსურველთა რაოდენობა რეკორდულად გაიზარდა. მიუნხენის ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩარიცხვის მსურველთა საერთო რაოდენობამ კი 76%-ით მოიმატა, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ უმაღლეს სასწავლებელში სწავლა პრესტიჟული გახდა.

ხელშეკრულების ძირითად პუნქტებზე დაყრდნობით უკვე შეგვიძლია განვავითაროთ თანამშრომლობა. ამოქმედდება პროფესორის გაცვლითი პროგრამები მედიცინის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით... მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტი დააფინანსებს სტუდენტებს, როგორც საკუთარი, ასევე, სხვადასხვა სტიპენდიების საფუძველზე.“ — განაცხადა გიორგი ხუბუამ დელეგაციის წევრებთან შეხვედრაზე.

მსოფლიო მასშტაბით მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტი რეიტინგით 56-ე ადგილზეა, წინა წლებთან შედარებით მან 23 ადგილი წინ წაიწია. იგი ყველაზე მეტად კვლევითი საქმიანობითაა ცნობილი. უმაღლესი სასწავლებლის პრეზიდენტი, პროფესორი ვოლფგანგ ჰერმანი 9 უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი და 736 სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორი გახლავთ. მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტის ისტორიის, უნივერსიტეტში არსებული სასწავლო სისტემის, სამეცნიერო მუშაობის შესახებ ვოლფგანგ ჰერმანმა შეხვედრაზე შეკრებილი აუდიტორიისთვის სპეციალურად მომზადებული პრეზენტაცია გამართა.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, პროფესორ ჰერმანს თსუ-ის საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის გიორგი ხუბუას განმარტებით,

ვოლფგანგ ჰერმანს ეს სამეცნიერო ჯილდო ქართული მეცნიერებისთვის განუვლი დახმარებისთვის გადაეცა.

„დიდი პატივია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდების მიღება. ინტენსიურად ვითანამშრომლებთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. ამის ყველაწილი ნინაპირობა უკვე შექმნილია. ჩვენს უნივერსიტეტს ბავარიის ფედერალური მიწის ადგილობრივი ხელისუფლება აფინანსებს, რაც საშუალებას გვაძლევს უცხოელი სტუდენტებისთვის განათლების მიცემას ვიზრუნოთ. გვაქვს საერთაშორისო მხარდაჭერაც, რის შედეგადაც არაერთი საინტერესო და სასარგებლო პროექტი შეგვიძლია განვახორციელოთ“, — აღნიშნა მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტის პრეზიდენტმა.

მიუნხენის ტექნიკურ უნივერსიტეტში, გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, სასწავლო წლის მეორე სემესტრში თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პირველკურსელი, ერთიან ეროვნულ გამოცდებში ქვეყნის მასშტაბით საუკეთესო შედეგის მქონე ანა ნუსხელაძე გაემგზავრა. გერმანიაში ანა ნუსხელაძე ერთი სემესტრის განმავლობაში ისწავლის და უნივერსიტეტის ადმინისტრაციისგან ყოველთვიურ სტიპენდიას მიიღებს.

შეგახსენებთ, რომ 2009 წლის 11 სექტემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და მიუნხენის ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება განუსაზღვრელი ვადით დაიდო. უნივერსიტეტები ითანამშრომლებენ: საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში, მეცნიერებისა და სტუდენტების გაცვლის მიმართულებით, ასევე, შეთანხმებისამებრ, მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტი თსუ-ის დოქტორანტებს, თსუ-ის რექტორის რჩევით, დოქტორანტურის სკოლაში მიიღებს, როგორც მის წევრებს, თუკი ტექნიკური უნივერსიტეტის 2009 წლის 13 მაისის დადგენილებით დოქტორანტურის სკოლის შესახებ გათვალისწინებული წინაპირობები შესრულდება; მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტი თსუ-ს დახმარებას გაუწევს ადმინისტრაციაში ულექტორულ სისტემების განვითარებაში და გაუზიარებს მიუნხენის უნივერსიტეტში დაწერილ სისტემას. სამეცნიერო თანამშრომლობის ძირითად მიმართულებებზე დასახლდა: მედიცინა, ინფორმატიკა, მათემატიკა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები. პარტნიორი მხარეები მათ მიერ დაფინანსებულ გაცვლითი პროგრამის დამუშავებას გაუზიარებენ განათლებას იმ მიმართულებებში, რომლებიც მეორე პარტნიორ უნივერსიტეტში არ არის წარმოდგენილი (მიუნხენის ტექნიკურ უნივერსიტეტში: საბუნებისმეტყველო, საინჟინრო, კარტოგრაფია, არქიტექტურა თსუ-ის სტუდენტებისთვის და თსუ-ში: ჰუმანიტარული, ეკონომიკური, კულტურული მეცნიერებების, ენათმეცნიერების მიმართულება მიუნხენის სტუდენტებისთვის). მომდევნო შეთანხმებაში, სახელმწიფო დადგენილების საფუძველზე გაირკვევა, სასწავლო პროგრამებიდან (ბაკალავრიატი/მაგისტრატურა) რომელზე გაიცემა ერთობლივი დიპლომი.

მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტის დელეგაცია თბილისში 3 დღის განმავლობაში იმყოფებოდა და ვიზიტის ფარგლებში საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებსაც შეხვდა. მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტის პრეზიდენტი, პროფესორი ვოლფგანგ ჰერმანი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს ნიკა რურუას და პარლამენტის ვიცე-სპიკერს მიხეილ მაჭავარიანს შეხვდა. გამგზავრებამდე გერმანელმა სტუმრებმა ანა ნუსხელაძეს ეკლესიაც მოინახულეს და ქალაქი სიღნაღი დაათვალიერეს.



ახალ სამაგისტრო პროგრამას — „ორბანიზაციის განვითარება და კონსულტირება“ 22 სტუდენტი ეუფლება

ახალი სასწავლო წლიდან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი რამდენიმე ახალი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამა დაინერგა, მათ შორის, წარმატებით ხორციელდება ინტერდისციპლინური სამაგისტრო პროგრამა — „ორბანიზაციის განვითარება და კონსულტირება“, რომელსაც ანალოგი ქართულ საგანმანათლებლო სფეროში, ჯერჯერობით, არ მოეპოვება. სალექციო კურსს ავსტრიელი, ზალცბურგის უნივერსიტეტის პროფესორი, კონფლიქტების მართვის ცნობილი სპეციალისტი ფრიდრიხ გლაზლი კითხულობს. მასთან ერთად პროგრამის სწავლებაში ჩართულია მ პროფესორი როგორც ავსტრიიდან, ასევე, ჰოლანდიიდან და შვეიცარიიდან. აღსანიშნავია, რომ მათთან ერთად სალექციო კურსს ქართველი პროფესორებიც წაიკითხავენ.

შურთხია ბაროშვილი

პროგრამის ერთ-ერთი ხელმძღვანელის, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის, პროფესორ ნოდარ ბელქანიას ინფორმაციით, ახალი სამაგისტრო პროგრამის დანერგვის აუცილებლობა განაპირობა საქართველოს დასავლურმა ორიენტაციამ და დემოკრატიული ღირებულების დანერგვის საჭიროებამ. დასავლეთში არ არსებობს არც ერთი წარმატებული დაწესებულება, სადაც ორბანიზაციის განვითარების კონსულტანტი არ ჰყავთ. ამ პროგრამის მთავარი მიზანია, სტუდენტებს, რომლებიც ეუფლებიან კონსულტანტის პროფესიას, მისცეს სათანადო ინსტრუმენტები, რათა მათ შეძლონ — დახმარება გაუწიონ სხვადასხვა ორბანიზაციის გაუფის დინამიკის, მედიაციის და კონ-

ფლიქტების მართვის სფეროში.

ნოდარ ბელქანიას ინფორმაციით, სამაგისტრო პროგრამაზე — „ორბანიზაციის განვითარება და კონსულტირება“ წელს 22 სტუდენტი ჩაირიცხა, რომლებსაც კარგად აქვთ გაცნობიერებული, თუ როდენ საპასუხისმგებლო და საჭირო დარგი აირჩიეს. „ეს არის თანამედროვე, პრაქტიკულ ორიენტაციის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს, პირველ რიგში, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამოშვებას, რაც მათი წარმატების ერთ-ერთი საინდიკატორი იქნება“.

ფრიდრიხ გლაზლის თქმით, ევროპაში ეს სპეციალობა დიდი ხანია არსებობს და იქ ძალიან აქტუალურია. „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით და ჩვენი მხარდაჭერით შეიქმნა ერთობლივი პროგრამა.“

მოლაპარაკების შემდეგ შემუშავდა სათანადო კონცეფცია. ევროპის უმაღლესი სასწავლებლების გამოცდილებაზე დაყრდნობით, ქართველ სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ ნებისმიერ დაწესებულებაში იმუშაონ, როგორც კონსულტანტებმა, — აღნიშნა ფრიდრიხ გლაზმა. მისი თქმით, სტუდენტები არა მარტო თეორიულ ცოდნას მიიღებენ, არამედ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებსაც გამოიმუშავენ.

„უცხოელი სპეციალისტები ყოველთვის ინტერესით ვეცნობით სხვადასხვა ქვეყნის კულტურას და ყურადღებას ვამახვილებთ თითოეულის თავისებურებაზე. ყველა ქვეყანას განსხვავებული კულტურა აქვს, რაც სწავლების პროცესშია გასათვალისწინებელი. 90-იანი წლებიდან ურთიერთობა მაქვს საქართველოსთან, სომხეთთან, რუსეთთან და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან, რომლებსაც კომუნიკური და პოსტკომუნიკური პერიოდი შეეხო, ამიტომ თავიდანვე გავითვალისწინე ყველა ის თავისებურება, რომელიც საქართველოს ახასიათებს. ამ პროგრამის სამომავლო განვითარებისთვის მნიშვნელოვანია, თუ რამდენად ღირებული იქნება ქვეყნისთვის დემოკრატიული პრინციპები.“

ქართველი სტუდენტობისთვის ეს პროგრამა არც ისე კარგად არის ცნობილი. ჩემი მხრივ შემიძლია ვთქვა, რომ სასურველია, ხელი შევუწყო სტუდენტებს — განახორციელონ თავიანთი პრაქტიკული საქმიანობა



სხვადასხვა ორბანიზაციაში, — აღნიშნა ფრიდრიხ გლაზმა.

როგორც პროგრამის მაგისტრანტებმა აღნიშნეს, უცხოელ სპეციალისტებთან მუშაობა მათთვის საინტერესოა და, მიუხედავად იმისა, რომ ეს დარგი საქართველოში ახლა ვითარდება, მათ უკვე იციან, რომ სამომავლოდ, დასაქმების მხრივ, კარგი შანსები ექნებათ.


სიახლე

იურიდიულ ფაკულტეტზე სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციების ჩატარების ახალი კონცეფცია შეიმუშავდა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა ირაკლი ბურდულმა საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციების გამართვის ახალი კონცეფცია წარმოადგინა. თსუ-ში სტუდენტისთვის სტიპენდიის მისაღებად ერთ-ერთი აუცილებელი პირობა სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის მიღება, შესაბამისად სამეცნიერო ნაშრომების დანერგვა და კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატის წარმოდგენაა. როგორც ირაკლი ბურდულმა წინადადებას სტუდენტებთან შეხვედრისას განაცხადა, სტუდენტები უნივერსიტეტის შიდა საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო კონფერენციებში მიიღებენ მონაწილეობას და მათი ნაშრომების ხარისხსაც უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები გააკონტროლებენ.

ნათო მობოლაძე

„ბევრ სტუდენტს მოაქვს სხვადასხვა კონფერენციაში მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატი. კონფერენციები უნივერსიტეტის გარეთაც ხშირად ტარდება — სხვადასხვა დაწესებულებებში და სხვადასხვა სტუდენტების მონაწილეობით, რაც,



გარკვეულწილად, ჩვენ ცუდ მდგომარეობაში გვაყენებს, რადგან კონფერენციებს შორისაც არსებობს დიდი სხვაობა. გააჩნია ვინ ატარებს მას, როგორ ტარდება და სტუდენტები რა ხარისხის ნაშრომებს წარადგენენ. ჩვენ კი, როდესაც სტუდენტს სტიპენდიას ვანიჭებთ, მხოლოდ სერტიფიკატს ვუყურებთ და არა ნაშრომს. შედეგად, ხშირად, არასწორ განაყვებილებას ვიღებთ, ანუ უპირატესობას ვანიჭებთ უფრო ბევრი სერტიფიკატის მქონე სტუდენტს და მასზე გაცილებით მცოდნე და კარგი ნაშრომის მფლობელი სტუდენტი კი სტიპენდიას ვარეშე რჩება“, — აღნიშნა ირაკლი ბურდულმა.

საფაკულტეტო სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად განაცხადების შეტანა 7 ნოემბრიდან დაიწყო და 1 დეკემბრის ჩათვლით გაგრძელდება. სტუდენტებმა „მიზანშეწონილობის ბარათები“ უნდა წარადგინონ, რომლის ბლანკი თსუ-

ის ინტერნეტ-გვერდზე დაიდება. „მიზანშეწონილობის ბარათი“ საკონფერენციო თემის ხელმძღვანელთან ერთად ივსება, რომელსაც სტუდენტი თავად ირჩევს.

იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციაზე ოთხი თემატიკა იქნება წარმოდგენილი — 1) კერძო სამართალი (ვალდებულების შესრულებლობა სახელშეკრულებო სამართალში), 2) საჯარო სამართალი (სახელმწიფოს პასუხისმგებლობა), 3) სისხლის სამართალი (საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დაუფლებითი დანაშაული) და 4) საერთაშორისო სამართალი (რუსეთ-საქართველოს ომის საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტები).

ნაშრომების წარმოდგენა სტუდენტებს 1 დეკემბრიდან 5 იანვრის ჩათვლით შეეძლება, რომლებსაც სპეციალური კომისია განიხილავს. სტუდენტებს საკუთარი ნაშრომების დაცვა პრეზენტაციაზე მოუწევთ. სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციაზე 3 საუკეთესო ნაშრომის ავტორი დაჯილდოვდება, მონაწილეებს კი სერტიფიკატები გადაეცემათ. როგორც თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა ირაკლი ბურდულმა განაცხადა, ხარისხიანი ნაშრომების წარმოდგენის შემთხვევაში ბროშურის გამოცემაც იგეგმება.



სტუდენტებმა უნივერსიტეტში „ილიაობა — 2009“ აღნიშნეს



სახალხო დელეგაციის „ილიაობა“ ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძის სიცოცხლეში დაემკვიდრა. მას შემდეგ ქართველი ერი ყოველ წელს სხვადასხვა ფორმით გამოხატავს წმინდანად აღიარებული ერის წინამძღოლის ხსოვნის დღეს. წელს სტუდენტური მოძრაობა „ახალგაზრდული ცენტრის“ ინიციატივით საფუძველი ჩაეყარა უნივერსიტეტში „ილიაობის“ აღნიშვნის დამკვიდრების იდეას.

27 ოქტომბერს „ილიაობა — 2009“-ის მონაწილეები უნივერსიტეტის ეზოში შეიკრიბნენ და ილია ჭავჭავაძის ძეგლი ყვავილებით შეამკეს, შემდეგ სტუდენტებ-

მა დავით აღმაშენებლის სახელობის ტაძარში გადაინაცვლეს, სადაც წმიდა ილია მართლის პანაშვიდი აღევლინა. ღონისძიება თსუ-ის მერვე კორპუსის სააქტო დარბაზში გაგრძელდა, სადაც ილია ჭავჭავაძის 172 წლის იუბილესთან დაკავშირებით მისი შემოქმედების საჯარო კითხვა გაიმართა. ღონისძიებაზე წასაკითხი ნაწარმოებების შერჩევაში სტუდენტებს პროფესორი ლადო მინაშვილი დაეხმარა, რისთვისაც „ახალგაზრდული ცენტრის“ ხელმძღვანელმა დინა ლიპარტიანიამ მას მადლობა გადაუხადა.

„172 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენს ქვეყანას იმედად და ნუგეშად მოვევლინა ილია ჭავჭავაძე. იგი იმ დროს მოღვაწეობდა, როდესაც საქართველოს უაღრესად სჭირდებოდა თავგანწირული წინამძღოლი. მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში ილია დაუღალავად წვრთნიდა ქართველ ხალხს გონებასა და ზნეობას, როგორც მისი სულიერი მოძღვარი. მან შეგნებულად იტვირთა ერის თავკაცის მძიმე ტვირთი. ზიდა, ვიდრე არ დაეცა ქვეყნის საკუთრებულზე, ვიდრე საკუთარი სისხლით არ გაამაგრა ის იდეა, რომლის განხორციელებასაც შეაღია მთელი სიცოცხლე და თავს დაიდგა „დიდ ნამების გვირგვინი მშვენიერი“.

ილია ჭავჭავაძემ XIX საუკუნეში სისტემაში მოიყვანა და ქართულ საზოგადოებას მიანოდა ჩამოყალიბებული ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხედულებები. მან თავისი მრავალმხრივი მოღვაწეობით უდიდესი ზემოქმედება მოახდინა ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზრის შემდგომ განვითარებაზე. მის მიერ დასახული გზა არის ქართველი ხალხის თვითმყოფადობის, საზოგადოდ, ერის ხსნის გზა. ეროვნული გრძნობის მოღუწების, სულიერი შეჭირვების ჟამს ილიამ საქვეყნოდ განაცხადა: „სად არის ქართველობა და საქართველო?!“ და მანვე, ყველაზე დიდმა ქართველმა, ერს ზვარაკად საკუთარი თავი შესთავაზა — „მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა!“ — ასე გადაეჯაჭვა ერთმანეთს სამუდამოდ ილია ჭავჭავაძისა და საქართველოს სახელები“, — განაცხადა ლადო მინაშვილმა „ილიაობის“ დღესასწაულზე, რომლის აღნიშვნაც, სტუდენტების რწმენით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ტრადიციად დამკვიდრდება.

შურთხია ბაროშვილი

უნივერსიტეტის პირველი კორპუსის იარსახე არ შეიცვლება

22 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურმა, წარმომადგენლობითმა და რექტორის მრჩეველთა საბჭომ უნივერსიტეტის სარეაბილიტაციო და სარეკონსტრუქციო სამუშაოების მიმდინარეობის საკითხებზე იმსჯელეს. კერძოდ, განიხილეს ამორტიზირებული და დეფორმირებული ფანჯრების ნაცვლად თანამედროვე ტიპის მეტალოპლასტმასის ფანჯრების ჩასმის შედეგად წარმოქმნილი წინააღმდეგობები. აღინიშნა, რომ უკვე ჩასმულ ფანჯრებზე შუალედური ტიხრების არარსებობა, ზოგიერთი ექსპერტის აზრით, იერსახეს უცვლელ უნივერსიტეტის ისტორიულ შენობას, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მის, როგორც ეროვნული მნიშვნელობის კულტურულ-ისტორიულ ძეგლად აღიარების საკითხს.

აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით თსუ-ის აკადემიურმა, წარმომადგენლობითმა და რექტორის მრჩეველთა საბჭომ მიიღეს მიმართვა საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ქალაქ თბილისის მერიისა და საქველმოქმედო ფონდ „ქართუსადმი“, რომლის ტექსტსაც უცვლელად გთავაზობთ:

მიმართვა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსი ეროვნული მნიშვნელობის მქონე ისტორიული ძეგლია. იგი ქალაქის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი ნაგებობაა.

უნივერსიტეტის პირველი კორპუსის პროექტი ცნობილია ქართველმა ხელოვნების მოძღვარმა სვიმონ კლდიაშვილმა შექმნა, ქართული კულტურის უდიდესმა მოამაგემ — ნიკო ცხვედაძემ კი დიდი ღვაწლით ააშენა. შენობა უკვე ას წელზე მეტი ხნისაა. იგი დაძველდა და საგრძნობლად დაზიანდა. ამიტომ სარეაბილიტაციო და სარეკონსტრუქციო სამუშაოები, რომლებსაც საქველმოქმედო ფონდი „ქართუ“ აფინანსებს, უაღრესად მნიშვნელოვანი და დროულია. სარეაბილიტაციო პროგრამით გათვალისწინებული ძირითადი სამუშაოები შეთანხმებული იყო მერიის შესაბამის სამსახურთან და მოწონებულ იქნა უნივერსიტეტის მიერ, თუმცა პროექტის განხორციელებისას მასში შევიდა აუცი-

ლებლობით გამოწვეული გარკვეული ცვლილებები.

საქმე ეხება რუსული ფიჭვისაგან დამზადებულ ფანჯრებს, რომლებიც ამორტიზებული და დეფორმირებული იყო. ფანჯრების სიძველის გამო მათი რესტავრაცია შეუძლებელი გახდა; ამიტომ დამზადდა ახალი, მაღალი ხარისხის მეტალოპლასტმასის ფანჯრები მუხის ხის ეფექტით. ეს ფანჯრები მოერგო მანამდე არსებულ ხის მასიურ ჩარჩოებს ალატების ნახატისა და პროპორციების შენარჩუნებით. სამუშაოდ, თანამედროვე ფანჯრების მასალისა და დამზადების ტექნოლოგიის თავისებურებათა გამო ახალ ფანჯრებს ვერ გაუკეთდა შუალედური ტიხრები, რომლებიც ჰქონდა ავთენტურ ფანჯრებს. ფანჯრების მწარმოებლის ინფორმაციით, 1,5–2 სმ სისქის ტიხრები (როგორც ჰქონდა ძველ ხის ფანჯრებს), რომლებსაც ეყრდნობა მინები, ვერ გაუძლებდა თანამედროვე სტანდარტებით გათვალისწინებულ

ორმაგი მინაპაკეტის წონას. ასეთი მინაპაკეტის დასაჭერად საჭირო შუალედური ტიხრების სისქე, ფაქტობრივად, გაუტოლდებოდა ალატების სისქეს, რაც მნიშვნელოვნად შეცვლიდა ფანჯრების ნახატს და ფასადის საერთო იერსახესაც. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება შუალედური ტიხრების ამოღების შესახებ.

სამუშაოდ, აღნიშნული გადაწყვეტილება სამეცნიერო საზოგადოებისა და ხელოვნებათმცოდნეების ერთმა ნაწილმა უარყოფითად შეაფასა. მათ გამოთქვეს შენიშვნები კულტურული ძეგლის სტატუსის მქონე შენობაში ფანჯრების დასამზადებლად მეტალოპლასტმასის მასალის გამოყენებასთან დაკავშირებით. ამ შენიშვნების გათვალისწინებით დამზადდა და დამონტაჟდა ხის ფანჯრების ორი ნიმუში შუალედური ტიხრებით, თუმცა ორმაგი მინაპაკეტის გამოყენების გამო ისინიც ვერ იმეორებენ ზუსტად ძველი ფანჯრების ნახატს.

აღვნიშნავთ, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსი მხოლოდ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი როდია; იგი, უპირველეს ყოვლისა, სასწავლო დაწესებულებაა; შესაბამისად, უნდა აკმაყოფილებდეს სასწავლო პროცესის გამართული წარმართვისათვის აუცილებელ თანამედროვე სტანდარტებსა და მოთხოვნებს. ყოველივე ამის გათვალისწინებით, სხვა სამუშაოებთან ერთად, შენობაში დამონტაჟდა გათბობის თანამედროვე სისტემა, რომლის ეკონომიურად ფუნქციონირებისათვის აუცილებელია ორმაგი მინაპაკეტისა და მეტალოპლასტმასის ფანჯრებისათვის დამახასიათებელი ჰერმეტიკისა (ეს მნიშვნელოვნად ამცირებს გარედან ხმაურისა და მტვრის შემოსვლას). ავთენტური ერთმინიანი ფანჯრების აღდგენის შემთხვევაში საგრძნობლად გაიზარდა გათბობის ხარჯე-

ბი და, ამავე დროს, სასურველი ტემპერატურის შენარჩუნებაც შეუძლებელი იქნება. სტუდენტებსა და პროფესორებს შეაწუხებს ტრანსპორტის ხმაური და ქუჩის მტვერი. სწორედ ამიტომ ვცდილობდით, მიგვეღო ისეთი ოპტიმალური გადაწყვეტილება, რომელიც საშუალებას მოგვცემდა, შენარჩუნებულიყო შენობის ისტორიული ფასადი, ფანჯრების ნახატი და, ამავე დროს, ამგვარ მიდგომას თანამედროვე სწავლების პროცესის მოთხოვნებიც დაეკმაყოფილებინა.

საერთო ძალისხმევით მოძიებულ იქნა სპეციალური პროფილი, რომელიც ორივე მხრიდან მაგრდება უკვე დამზადებული და დამონტაჟებული ფანჯრების მინაპაკეტზე და, ამგვარად, მაქსიმალურად იმეორებს ძველი ფანჯრების ნახატს. ეს გადაწყვეტილება საშუალებას გვაძლევს, თავიდან ავიცილოთ შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის გათვალისწინებული ვადებისა და ფინანსური ხარჯების ზრდა; შესაბამისად, დროულად განვაახლოთ სასწავლო პროცესი უნივერსიტეტის პირველ კორპუსში.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მოგმართავთ თხოვნით — მხარი დაუჭიროთ ამ გადაწყვეტილებას.

ვიმედოვნებთ, რომ უნივერსიტეტის პირველ კორპუსს, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს, ისევე, როგორც მთელს უნივერსიტეტს, მომავალშიც არ მოაკლდება თქვენი ყურადღება.

მიმართვის ტექსტს ხელი მოაწერეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ, აკადემიურმა და წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა, ასევე, თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლებმა.

თვალსაზრისი

„ზოგიერთს ჰგონია, სადაც გაძღება, სამუოგლო ის არის“

ოტია იოსელიანთან შეხვედრაზე

29 ოქტომბერს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ინიციატივით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები მწერალ ოტია იოსელიანს შეხვდნენ.

შურთხია პიროვნული

„ადამიანი მინის შვილია და დედას რომ მოსწყდება, ყველა და ყველაფერი დედინაცვლად ექცევა“ — მიაჩნია ოტია იოსელიანს, რომელიც დღესაც წყალტუბოში, თავის აგებული ოდა სახლში ცხოვრობს და რომელმაც თავისივე ხელით გაკეთებულ ბუხართან შექმნა ყველა ის ნაწარმოები, რამაც ქართველი მკითხველის აღიარება და სიყვარული მოუტანა. მიუხედავად იმისა, რომ ოტია იოსელიანი დედაქალაქს იშვიათად სტუმრობს, მაინც მუდმივად საზოგადოების ყურადღების ცენტრშია. მისი ყოველი ფრთხილი ფრაზა თუ გამოხატვაში მორე დღესვე იცის მთელმა საქართველომ. კლასიკოსმა მწერალმა, რომლის ნაწარმოებსაც დიდი სიამოვნებით კითხულობს ყველა ასაკის თაობა, თავისი განუმეორებელი პორტრეტები შექმნა — იგი არასდროს, არავისში შეგვემლება: ტყავის განუყრელი ჯუბა, თვალებამდე ჩამოფხატული სვანური ქუდი, ყალიონი, რომელსაც არ აქრობს და იმერული კილო, რომელსაც ისეთი ოსტატობით იყენებს, რომ გარწმუნებს, თითქოს მთელი ცხოვრება ყანიდან ფეხი არ გამოუდგამს და თითქოს პირველი წიგნი, რომელიც პირველად წაიკითხა, თავისი იყო.

ცნობილი ქართველი კლასიკოსი მწერლის, ოტია იოსელიანის მოთხრობების პირველი კრებული — „ქარის მეზობლები“ 1957 წელს გამოიცა. მას შემდეგ ნაყოფიერად მუშაობს სხვადასხვა ჟანრში. ავტორია ათამდე პიესისა და კინო-რომანისა, რომელთაგან რამდენიმე ქართული თეატრების სცენაზე დაიდგა. იგი ინტენსიურად მუშაობს საბავშვო მწერლობის დარგში, არც ისე დიდი ხნის წინ გამოიცა ავტობიოგრაფი, სადაც თავმოყრილია მისი ნაწარმოებები. მწერლის შემოქმედება თარგმნილია სხვადასხვა ენაზე.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსში შეკრებილი სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებელთა შეკითხვებს ოტია იოსელიანმა პასუხები ჩვეული არტისტიზმით და იუმორით გასცა. მწერალი ზოგჯერ დაუფარავი სარკაზმითაც საუბრობდა — თუ რა უბედურება შეიძლება მოუტანოს ადამიანს სიზარმაცემ და ქვეყნის წინაშე უპასუხისმგებლობამ. დრო და დრო იგი თვითონაც ეკითხებოდა ახალგაზრდებს: — მაინტერესებს, რას აპირებთ მომავალში? როგორ აპირებთ ქვეყნის პატრონობას?

მწერალმა ახალგაზრდებთან საუბრისას თავისი გულისტკივილი კიდევ ერთხელ გაახმოვანა: „დაცლილია საქართველო... სოფლებში ხალხი აღარ ცხოვრობს! სად გავრბივართ,



რატომ ვერ ვეძებთ საკუთარ სახლში, რატომ არ ვფიქრობთ, რომ ღმერთმა ყველას თავისი მისიის შესრულება დააკისრა... ესპანეთში ყოფნისას შემამფოთებელი სტატისტიკა აღმოვაჩინე: ოცი ათასი ქართველი უკვე იქ არის ჩაწერილი, ერთი ამდენი კი არაღეგაღურად ცხოვრობს. შემამფოთა იმ ფაქტმაც, რომ ესპანეთში მცხოვრებ ქართველებს სამშობლოს ნოსტალგია არ აქვთ... ერთ-ერთმა მათგანმა ამის მიზეზი ასე ამიხსნა: სვანეთში გაჭირვებით მცხოვრობდი, აქ კი კარგად ვარ და არაფერი მაკლიაო. სამლოცველოც მოუწყვიათ, ეკლესიასაც აშენებენ.

გზა ხსნისა ერთად უნდა ვეძებოთ, შთამომავლობამ რომ არ გვიოხრას, ქვეყანა რომ იქცეოდა, შენ სად იყავი, სხვა ქვეყანაში რა გინდოდაო“...

ზოგიერთს ჰგონია, სადაც გაძღება, სამშობლო ის არის. ბიბლიაში კი წერია: მოიპოვე პური ჩვენი არსობისა და არა ძლიშისა, როგორც ახლა ხდება“ — აღნიშნა ოტია იოსელიანმა.

მწერალმა შეხვედრაზე სინანულით თქვა, რომ ახალგაზრდები ენას არ უფრთხილდებიან და წიგნის სიყვარულიც აღარ აქვთ: „მინდა, გაცნობიეროთ, რომ წიგნი ადამიანის მასწავლებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოქვეაბულში დაბრუნება გვემოქმედებს. უნდა გახსოვდეთ, რომ უნივერსიტეტი უნივერსალური განათლების მიღებას გულისხმობს — აქ მოღვაწე პიროვნებებს ეს კარგად ჰქონდათ ცნობიერებული, ახლანდელი თაობა კი წიგნს დიდად არ სცნობს. მე ვერ უნიჭო ქართველი არ მინახავს, მაგრამ ეს ნიჭი ქვეყანას უნდა მოახმაროთ. დროა, სწორად აზრებულთა ისწავლოთ. ინგლისურის, ფრანგულის, გერმანულის სწავლა კარგია, მაგრამ ქართული კარგად იცი? არადა, ენა მაინც არ გვაქვს სამათხოვრო...“ „რა ენა ნახდეს, არ დაიცეს“, — ილანას მაინც დაუჯერეთ! თუ თქვენი მიზანი მართლ ის არის, რომ ბებიებს დიპლომი მოუტანოთ, არაფერი გამოვა. გზა ხსნისა ერთად უნდა ვეძებოთ, შთამომავლობამ რომ არ გვიოხრას, ქვეყანა რომ იქცეოდა, შენ სად იყავი, სხვა ქვეყანაში რა გინდოდაო“.

სტუდენტების თხოვნით ოტია იოსელიანმა ბავშვობაც გაიხსენა და აღნიშნა, რომ მძიმე წარსულის მიუხედავად, ყოველთვის ახერხებდა თავის რჩენას: „სად შექონდა ბავშვობა?! ასე მგონია, პირდაპირ მოხუცი დავიბადე!“ საშინელი გაჭირვება გამოვიარე — ომის პერიოდში ცარიელი მჭადი გვენატრებოდა, მაგრამ სხვებს კი არ ვუყურებდით ხელეგში, ჩვენ თვითონ ვეძებდით გამოსავალს. ახლა მშობელს ეკითხებინ, როგორი შვილი გყავსო, ის კი პასუხობს: — გადასარევი, კარგი მჭამელიაო!“.

მწერალმა შეხვედრაზე საკუთარ შემოქმედებაზე და ხელოვნების დანიშნულებაზეც ისაუბრა: „მწერლობა ღვთის ბოძებული ნიჭია, ჩემი შთავონების წყარო კი ჩემი ქვეყანაა... მწერალმა მიზნის მისაღწევად დღე დღემ უნდა ათენოს, ნიჭი ბედნიერებაა ხალხისთვის, მაგრამ შემოქმედისთვის დიდი ტვირთია. ტყუილი და სიყალბე ბოროტების სათავეა, რაც უფრო ვანს განსაკუთრებით არ ეპატიება. ყველა საქმე, რომელიც ასე კეთდება, დასაღუპავად არის განწირული. თუ შემოქმედი ხარ, შენთვის ვერ იცხოვრებ!“

მწერალმა შეხვედრის დასასრულ რამდენიმე საკუთარი ლექსიც წაიკითხა: „თქვენს მონა-მორჩილს (ჯარისკაცად ღმერთს არ ვუქნივარ), სამშობლოს ვალი ხომ მანვეს ვალად, რა უფლება მაქვს ვიჯდე სადმე, თბილსავარძელში, მინისაც მაინც არ ვიხდივ, არ ვთესვ ყანას, არ ვრწყავდ ნარგავს, იმ მამულს მაინც არ ვუვლივ, ვისგან ვართ, რაც ვართ, რომელზეც ყველა მიბმული ვართ, როგორც ხბო პალოს“.

ოტია იოსელიანს სჯერა, რომ „ხელოვნებას ადამიანის ადამიანად ქცევა შეუძლია“ და სწორედ ამ რწმენით აგრძელებს ხელოვნების სიყვარულის თევას ახალგაზრდებში...

ლექცია თემაზე: „რა არის ნანოტექნოლოგია?“

9 ნოემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საბავშვო უნივერსიტეტის ფარგლებში, საჯარო სკოლის მოსწავლეებისთვის ლექცია თემაზე: „რა არის ნანოტექნოლოგია?“ თსუ-ის პროფესორმა ალექსანდრე შენგელაიამ წაიკითხა.

ლექციას თბილისის 56-ე, 21-ე და 32-ე საჯარო სკოლის მოსწავლეები დაესწრნენ. მათ შორის ბევრი იყო ისეთი, რომელიც უკვე მეორე წელია სისტემატურად ისმენს



ფორუმი

საბავშვო უნივერსიტეტის ეგიდით ჩატარებულ ლექციებს.

მოსწავლეები გაეცნენ ნანოტექნოლოგიების რაობას და მის დანიშნულებას. ნახეს სამეცნიერო ფილმი.

როგორც ჩვენთან საუბარში პროფესორმა ალექსანდრე შენგელაიამ განაცხადა, მან მიზანმიმართულად შეარჩია საჯარო ლექციისთვის ნანოტექნოლოგიების თემა, რადგანაც ეს არის XXI საუკუნის ტექნოლოგია, რასაც ჩვენთან ჯერჯერობით პოპულარიზაცია აკლია.

„ბავშვებს არ აქვთ სათანადო ინფორმაცია თანამედროვე ნანოტექნოლოგიების თაობაზე და ვთვლი, რომ საჭიროა მათთვის ამ ინფორმაციის მიწოდება. შესაძლოა მათ ბევრი რამ ვერ გაიგონ, მაგრამ პირველ ეტაპზე წარმოდგენა მაინც შეეძლება, რისთვის არის საჭირო ეს ტექნოლოგიები. ვფიქრობ, ეს პროექტი წარმატებულია, რადგან ნებისმიერი ძალისხმევა, რომელიც მეცნიერების პოპულარიზაციისკენაა მიმართული, მისასაღებელია და სასარგებლო. ასეთ პროექტებს მეტი მასშტაბი უნდა მიეცეს“, — განაცხადა ბატონმა ალექსანდრემ ჩვენთან საუბარში.

ლექციის დასრულების შემდეგ საჯარო სკოლების მოსწავლეებს ატომის ფიზიკის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორია მასპინძლობდა, სადაც შექმნილია საბავშვო უნივერსიტეტის კაბინეტ-ლაბორატორია.

„ჩვენ ყველა საჯარო ლექციის შემდეგ ბავშვები ამ ლაბორატორიაში მოგვყავს, სადაც ისინი ცდებიან აკვირდებიან და, ზოგ შემთხვევაში, თავადაც ატარებენ. ვფიქრობ, ეს მეტად დაინტერესებს მოსწავლეებს და მომავალში პროექტ საბავშვო უნივერსიტეტში კიდევ უფრო აქტიურად ჩართვის სურვილსაც გაუჩინებს“, — განაცხადა თსუ-ის ატომის ფიზიკის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიის გამგემ რამაზ ლომსაძემ.

ნანოსტრუქტურირება აკლირებს თერმოელექტრონებს ნახევარგამტარულ ფირებში

გთავაზობთ დიდი ბრიტანეთის ფიზიკის ინსტიტუტის "Insitute of Physics" (IOP) მიერ ქართველი მეცნიერების ნაშრომის თაობაზე გამოქვეყნებულ წერილს. (<http://nanotechweb.org/cws/article/lab/40618>).

მყარ სხეულში არსებობენ ორი ტიპის თავისუფალი ელექტრონები: სატრანსპორტო ელექტრონები, რომელთა ენერჯია ახლოს არის ფერმის ენერჯიასთან და შიგა შრის ელექტრონები, რომელთა ენერჯია ბევრად ნაკლებია ფერმის ენერჯიაზე. მეცნიერები ძირითადად სატრანსპორტო ელექტრონებს იკვლევდნენ და ნაკლებ ყურადღებას უთმობდნენ შიგა შრის თავისუფალ ელექტრონებს, რადგან ეს უკანასკნელი არ მონაწილეობენ მუხტისა და სითბოს გადატანაში. ერთდროულად შიგა შრის ელექტრონები განსაზღვრავენ მყარი სხეულის მნიშვნელოვან თვისებებს. თანამედროვე ნანოტექნოლოგია საშუალებას იძლევა, რომ დამზადდეს სტრუქტურები, რომელთა ზომა უახლოვდება შიგა შრის ელექტრონების დე ბროილის ტალღის სიგრძეს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებულ კვლევებში, რომლის შედეგებიც გამოქვეყნდა ჟურნალში "Nanotechnology", მეცნიერები იყენებენ ამ ახალ ტექნოლოგიურ საშუალებებს, რათა გადაიყვანონ შიგა შრის ელექტრონები მაღალი ენერჯიების მქონე კვანტურ მდგომარეობებში და ჩართონ ისინი მუხტისა და სითბოს გადატანის პროცესში. ამ გზით ისინი აძლიერებენ მასალის თერმოელექტრულ თვისებებს. ნახევარგამტარული თხელი ფირის ზედაპირზე მზადდება ნანოტექნოლოგიის ზომის პერიოდული ღარი, რომლებიც, ელექტრონის ტალღური თვისებიდან გამომდინარე, კრძალავს ზოგიერთ კვანტურ მდგომარეობას. ამ ახალ ეფექტს კვანტური მდგომარეობების გეგმვა (კმგ) ეწოდა. ამოვარდნილი ელექტრონები, პაულის გამორიცხვის პრინციპის თანახმად, იკავებენ მაღალი ენერჯიების მქონე კვანტურ მდგომარეობებს და ფერმის ენერჯია იზრდება. ეფექტის სიძლიერე დამოკიდებულია ღარის სიღრმეზე



ავთანდილ თავხელიძე

და შეუძლია საკუთარი ნახევარგამტარი n ტიპად გადაქცევის. დამატებით, ღარების ზედაპირზე p ტიპის ფენა იზრდება. გაუზიარებული ფენა, რომელიც ღარების ზედაპირზე წარმოიქმნება, ამცირებს ღარების ეფექტურ სისქეს და მას ტემპერატურაზე დამოკიდებულს ხდის. ეს ზრდის ზედაპირის კოეფიციენტს და არ მოქმედებს ელექტრო და სითბო გამტარებლობაზე. შედეგად თერმოელექტრული ფაქტორი ერთი რიგით იზრდება.

თერმოელექტრონების გარდა კმგ-ის გამოყენება შეიძლება როგორც ალტერნატიული ლეგირების მეთოდი ნახევარგამტარულ ელექტრონიკაში. კმგ ლეგირებას არ შემოაქვს გაბნევის ცენტრები და მისი გამოყენება შეიძლება ზემოქმედება იქონიოს ელექტრონიკაში.

კმგ თეროიულად შესწავლილი იქნა როგორც მეტალებისათვის, ასევე, ნახევარგამტარებისთვის. ექსპერიმენტული კვლევა ჯერჯერობით მხოლოდ მეტალებზე ჩატარდა. ექსპერიმენტები ნახევარგამტარებზე დაგეგმვის სტადიაშია.

ალანინიზაცია, რომ კვლევები ტარდებოდა საქართველოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ნიუ იორკის უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე. ავთანდილ თავხელიძე არის თბილისის უნივერსიტეტის ნამყვანი მეცნიერი. მისი კვლევის ინტერესებში შედის კვანტური ეფექტები ნანოსტრუქტურებში, ენერჯიის გარდაქმნა ელექტრონის ტუნელირებისა და ემისიის ბაზაზე, ერთელექტრონიანი და ბალისტიკური ეფლის ტრანზისტორები და მალალტემპერატურული ზეგამტარობა.

„საქართველოს საკარიერო სერვისმა“ დასაქმების ფორუმი გამართა

საქართველოდან რომ პროფესიონალური კადრების გადინება მასშტაბურ ხასიათს იძენს, ამაზე უკვე დიდი ხანია საუბრობენ. დასაქმების პრობლემა ქვეყანაში აქტიურად საკითხად რჩება და ხელისუფლების საქმიანობის მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

21 ოქტომბერს სასტუმრო შერატონ მეტეხი პალასში „საქართველოს საკარიერო სერვისმა“ დასაქმების ფორუმი გამართა. დასაქმების ფორუმში მონაწილეობის მიღება შეეძლოთ საქართველოში მოქმედ ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებს. დამსაქმებლებს თავიანთ კანდიდატურებს წარუდგენენ საქართველოს ის მოქალაქეები, რომელთაც განათლება უცხოეთში მიიღეს და სურთ პროფესიული საქმიანობა თავიანთ ქვეყანაში განაგრძონ. ფორუმში მონაწილეობა მიიღეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტებმა და დოქტორანტებმა.

თამარ მარუაშვილი

„სამშობლოში დაბრუნებული პროფესიული კადრების პროგრამის ფარგლებში“ (PRF) „საქართველოს საკარიერო სერვისი“ (CSG) საქმიანობას 2007 წლის ივლისიდან ახორციელებს. პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს მაღალკვალიფიციური კადრების სამშობლოში დაბრუნებას და მათ დასაქმებას, საქართველოსა და გერმანიის შორის ეკონომიკური თანამშრომლობისა და კავშირების გაღრმავებას. პროგრამა თავის აპლიკანტებს სთავაზობს საკონსულტაციო, კვალიფიკაციის ამაღლებას, ფინანსური და ტექნიკური დახმარების შესაძლებლობებს.

ფორუმი დამსაქმებელთა ფართო წრით იყო წარმოდგენილი: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, ჰაიდელბერგცემენტი, საქართველოს ბანკი, ენერგო პრო ჯორჯია, სას-

ტუმრო „რედისონი“, სასტუმრო „მარიოტი“, სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასი“, „ქართუ ჯგუფი“, „თი ბი სი“ ბანკი, ტურისტული სააგენტო „მეგზური“, სახელმწიფო მინისტრის აპარატი დიასპორას საკითხებში და სხვ. ფორუმში მონაწილე დამსაქმებლებს თავიანთი საქმიანობის საილუსტრაციოდ სტენდები დაეთმო.

დასაქმების ფორუმის საქმიანობასა და მნიშვნელობაზე ისაუბრა ფორუმის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, კონსულტანტებისა და ექსპერტების ჯგუფის კოორდინატორმა ირმა წერეთელმა, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა მსგავსი ფორუმების გამართვის აუცილებლობა: „დასაქმების ფორუმი რეალური შანსია მაღალკვალიფიციური კადრის დასაქმებისა და დამსაქმებლისთვის სასურველი კადრის შერჩევასა. სპეციალისტი, რომელსაც საზღვარგარეთ აქვს მიღებული კვალიფიცი-

ური განათლება, ყველა დამსაქმებლისთვის სასურველი კადრია. ამდენად, დამსაქმებლის ინტერესი ფორუმში მონაწილე პროფესიული კადრების მიმართ ძალიან დიდია“, — განაცხადა ქალბატონმა ირმამ.

ფორუმი გახსნა და დამსწრე საზოგადოებას მიესალმა დამსაქმებლისა და პროფესიონალთა სამუშაო ჯგუფის (AGEF) ვიცე-დირექტორი, დოქტორი კარინ ლუტცი და თსუ-ის რექტორი, პროფესორი გიორგი ხუბუა. ფორუმს ესწრებოდნენ გერმანიის საელჩოს და ეკონომიკის სფეროს წარმომადგენლები.

„მინდა აღვნიშნო, რომ ასეთი ღონისძიებები სერიოზულ პერსპექტივას უქმნის ახალგაზრდა დასაქმების თვალსაზრისით. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საქართველოში კონკურენტუნარიანი შრომის თავისუფალი ბაზარი ყალიბდება, შესაბამისად კი უნივერსიტეტები ადეკვატური უნდა იყვნენ

ასეთი გამოწვევისა. თსუ-ს ნამდვილად შეუძლია იამაყოს უცხოეთში განათლებამიღებულ ახალგაზრდების დასაქმების თვალსაზრისით. თსუ-ის ნამყვან პოზიციებზე უკვე დასაქმებულია 11 ახალგაზრდა, რომლებმაც განათლება გერმანიაში მიიღეს. მაღლებს მოვახსენებ ქალბატონ კარინ ლუტცეს იმ დახმარებისთვის, რომელსაც ის ქართველ ახალგაზრდებს უწევს. დამეთანხმებით, რომ დღეს საქართველოში ვგას არა იმდენად უმუშევრობის, არამედ კვალიფიციური მუშახელის მოძიების პრობლემა. ამას ყველა დამსაქმებელი გრძნობს... ამიტომ ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ უახლოეს პერიოდში კვალიფიციური მუშახელი დეფიციტი ასე აღარ იგრძნობოდეს“, — აღნიშნა თსუ-ის რექტორმა გიორგი ხუბუამ.

განათლების მინისტრის მოადგილემ ნოდარ სურგულაძემ ისაუბრა სახელმწიფოს მხრიდან კვალიფიციური მუშახელის დასაქმების ხელშეწყობასა და მაგისტრანტებისა და დოქტორანტების საზღვარგარეთ სწავლის დაფინანსების შესაძლებლობაზე: „ეს პროგრამა საშუალებას გვაძლევს ქვეყანაში დაგზარუნოთ ის ინტელექტუალური პოტენციალი, რომელიც ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ არსებობს. მინდა შეგახსენოთ, რომ წელს საქართველოში დიდი მასშტაბის უპრეცედენტო პროგრამა განხორციელდა, რაც ითვალისწინებდა მსოფლიო ნამყვან უნივერსიტეტებში სამაგისტრო პროგრამებზე სახელმწიფოს მხრიდან სრულ დაფინანსებას, ანუ ის მაგისტრანტები, რომლებმაც მოიპოვეს იქ სწავლის გაგრძელების უფლება, საქართველოში მთლიანად დაფინანსდა. იმედი მაქვს, რომ ეს პროგრამა მომავალშიც გაგრძელდება. მთავარია ეს წრე შეიკრას: წასვლა, სწავლა და დაბრუნება“.

ფორუმი დასასრულ გერმანელ ექსპერტებთან და პროგრამის აპლიკანტებთან ალუმნი-შეხვედრა მოეწყო, რომელსაც მონაწილე დამსაქმებლებიც დაესწრნენ.



კონკურსის — „აღმოაჩინე იყალთო შენი“ გამარჯვებული უკვე გამოვლენილია

ნატო ოპოლაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კომპანია „ჯეოსელის“ ერთობლივი ორგანიზებით სტუდენტური ლიტერატურული კონკურსი „შემოდგომის ლეგენდა“ გაიმართა. იყალთოში გამა-

რთულ ლიტერატურულ კონკურსში თსუ-ის ყველა ფაკულტეტის და კურსის სტუდენტები მონაწილეობდნენ, მათ შორის, მაგისტრანტებიც. 20-მა სტუდენტმა ლიტერატურული ნაწარმოები შექმნა, რომელთაგან საუკეთესო სპეციალურად შერჩეული ჟიურის მიერ უკვე გამოვლენილია. გამარჯვებულს საზეიმო ღონისძიებაზე დასახელებენ.

ლიტერატურული კონკურსის 86 კონკურსანტიდან 20 პირველკურსელი შეარჩიეს. მათ საკუთარი ლიტერატურული ნაშრომები სპეციალურად გახსნილ მისამართზე უნდა გადაეგზავნათ. პირველ ტურში გასული სტუდენტები შეარჩიეს თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა ნინო დურგლიშვილმა და რეზო ჯორბენაძემ, ჰუმანიტარული ფაკულტეტიდან — გიული შაბაშვილმა და ქეთევან გორჩიშვილმა, თსუ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა მაკა სხენიშვილმა და მერიის წარმომადგენელმა სალომე ბენიძემ.



ნია „ჯეოსელის“ პიარ-სამსახურის უფროსმა ირმა ციციტიშვილმა.

24 ოქტომბერს იყალთოს სამონასტრო კომპლექსის ეზოში, ღია ცის ქვეშ, სტუდენტებმა კონკურსის მოთხოვნების მიხედვით წერა დაიწყეს. წერის დრო 6 საათით განისაზღვრა. თემაზე „პაემანი“, რომლის სახელწოდებაც ჟიურიმ შეარჩია, 20 სხვადასხვა შინაარსის ნაწარმოები შეიქმნა, რომელთაგან საუკეთესო ქართველი ლიტერატორებითა და მწერლებით დაკომპლექტებულმა ჟიურიმ გამოავლინა. პირველი ადგილის მფლობელს 1000 ლარი გადაეცემა, მეორე ადგილზე გასულს — 700 ლარი, მესამეზე გასულს — 500 ლარი. გამარჯვებულ მონაწილეებს კომპანია „ჯეოსელიც“ დასაჩუქრებს.

როგორც კონკურსის „აღმოაჩინე იყალთო შენი“ ჟიურის წევრებმა განაცხადეს, გამარჯვებულის გამოვლენისას წინასწარ დადგენილი კრიტერიუმები არ არსებობდა და შედეგები გასაჩივრებასაც არ დაექვემდებარება.

„ასეთი ღონისძიებები საინტერესოა. ამ გზით შეიძლება აღმოაჩინო სტუდენტების შემოქმედებითი ნიჭი. კონკურსი მათ კარგად წერის გარკვეულ სტიმულს აძლევს. ლიტერატურაში კრიტიკიუმების გამოყოფა ძალიან ძნელია, მთავარია იყოს კარგი ნაწერი“, — აღნიშნა ჟიურის წევრმა ლაშა ბაქრაძემ.

„იდეა დაიბადა ერთობლივად, თსუ-სა და „ჯეოსელს“ შტონდათ სურვილი, რომ გაცეთებინათ ლიტერატურული კონკურსი სტუდენტებისთვის. გადავწყვიტეთ, რომ კონკურსი იყალთოს ფარგლებში გაკეთებულიყო სახელწოდებით: „აღმოაჩინე იყალთო შენი“. ამ ლიტერატურულ კონკურსში მონაწილეობა, ვფიქრობ, სტუდენტებისთვის დიდი სტიმული იქნება“, — აღნიშნა კომპა-

კონკურსის „აღმოაჩინე იყალთო შენი“ გამარჯვებული უკვე გამოვლენილია, რომელიც საზეიმო ღონისძიებაზე დასახელებულ და მას კონკურსის სიმბოლო — „ოქროს ეტრატი“ გადაეცემა. დასკვნით საღამოზე ბროშურის პრეზენტაციაც გაიმართება, სადაც 10 საუკეთესო კონკურსანტის ნაშრომი გამოქვეყნდება.



საშობო

„ELSA-საქართველო“ იმიტირებული სასამართლო პროცესების ახალ ეტაპს იწყებს

ნატო ოპოლაძე

„ELSA-საქართველო“ ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაციის (EISA) სრული წევრი გახდა. 25 ოქტომბერს ქართველი იურისტი სტუდენტები წარმატებული პროექტების განხორციელებისა და გამოჩენილი აქტიურობისთვის ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაციაში სრულწევრად მიიღეს.



4 ნოემბერს „ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია — „ELSA-საქართველო“ იმიტირებული სასამართლო პროცესების მომდევნო ეტაპის პრეზენტაცია გაიმართა. პროექტის „ინტელექტუალური საკუთრება“ პირველი ნაწილი ზაფხულში დასრულდა. იგი ლექციებისა და სემინარების კურსს მოიცავდა, რომელიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარეობდა და მასში ქართველ სტუდენტებთან ერთად ჩეხი სტუდენტებიც იღებდნენ მონაწილეობას. მეორე ნაწილი კი იმიტირებული სასამართლო პროცესების გამართვას ითვალისწინებს, რომელშიც ორ-ორი სტუდენტისაგან დაკომპლექტებული გუნდები დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. კონკურსში მონაწილეობის მსურველთა რეგისტრაციის შემდეგ სტუდენტებს, თეორიული ცოდნის შემოწმების მიზნით, წერიტი გამოცდა ჩაუტარდება. გამოცდის საკითხები და ლიტერატურა მათ წინასწარ ეცნობება. წერიტი გამოცდის შედეგად 24 გუნდი შეირჩევა, რომელთაგან, საბოლოოდ, იმიტირებულ პროცესებში მონაწილეობას 10 გუნდი მიიღებს. გამარჯვებულები სტაჟირებას თბილისის საქალაქო სასამართლოში ყოველგვარი დამატებითი კონკურსის გარეშე გაივლიან. გამარჯვებულები, ასევე, დასახელებიან სხვადასხვა ნომინაციებშიც, რომლებსაც სპეციალურად შერჩეული ჟიური გამოავლენს.

ირაკლი ბურდული და თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი შავლიაშვილი დაესწრნენ.

თსუ-ის რექტორის განცხადებით, იმიტირებული სასამართლო პროცესების სასწავლო მეთოდი, შესაძლოა, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სასწავლო პროცესშიც ჩართონ, რადგან იმიტირებული სასამართლო პროცესები სტუდენტების პროფესიონალად ჩამოყალიბებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს.

პროექტის — „ინტელექტუალური საკუთრება“ ფარგლებში სულ 8 სასამართლო პროცესი გაიმართება. კონკურსის მთავარი საპრიზო ადგილის მფლობელი დასკვნით ღონისძიებაზე დასახელებულ, რომელიც იმიტირებული სასამართლო პროცესების დასრულების შემდეგ გაიმართება. ამავე საღამოზე გამოვლენილებიან სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებული სტუდენტებიც.

„EISA-საქართველო“ თბილისის საქალაქო სასამართლოს გარდა, საქართველოს უზენაეს და სააპელაციო სასამართლოებთანაც თანამშრომლობს. ასოციაციის მიერ მანამდე ორგანიზებული იმიტირებული სასამართლო პროცესები სწორედ უზენაეს და სააპელაციო სასამართლოებში მიმდინარეობდა.

თსუ-ის კალათბურთის გუნდმა სუპერლიგის პირველი წრის პირველი მატჩი მოიგო


თამარ მარუაშვილი

7 ნოემბერს სპორტის სასახლეში დაიწყო სუპერლიგა 2009-2010 კალათბურთში, რომელშიც მონაწილეობას იღებენ საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა საკალათბურთო გუნდები. თსუ-ის კალათბურთელებმა გუნდმა ბრწყინვალე სტარტი აიღო და შინაგან საქმეთა სამინისტროს გუნდს მოუგო ანგარიშით: 88-83. ეს გაარჯვება ორმაგად უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვინაიდან თსუ-ის კულტურისა და სპორტის ცენტრის ინიციატივით უნივერსიტეტმა დაანესა ლეგენდარული კალათბურთელის ვლადიმერ (პიტა) უგრეხელიძის სახელობის თასი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გამარჯვებულებისთვის 2 თასი დაანესა — საუკეთესო გუნდისა და საუკეთესო მოთამაშისთვის. თსუ-ის გუნდმა, რომლის მწვრთნელები არიან: ნუგზარ ჭიჭიშვილი და ნუგზარ მარკოიშვილი, როგორც აღვნიშნეთ, თამაშში გამარჯვება მოიპოვა. საუკეთესო კალათბურთელის თასიც ჩვენს კალათბურთელს — დავით ბარბაქაძეს ერგო. მან ამ თამაშში საკუთარ გუნდს 30 ქულა შესძინა. ასპარეზობას ვლადიმერ უგრეხელიძის ოჯახის წევრებიც ესწრებოდნენ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და კალათბურთის ფედერაციამ მის ოჯახს ფულადი პრემია გადასცეს. ვლადიმერ უგრეხელიძის მეგობრებმა, თანაგუნდელებმა და აღზრდილებმა ერთხელ კიდევ თბილად მოიგონეს ლეგენდარული სპორტსმენი და სპორტის დიდი მოამბავე.

სუპერლიგის პირველი თამაში ვლადიმერ უგრეხელიძის ხსოვნას მიეძღვნა, რომელსაც სულ ახლახანს 70 წელი შეუსრულდებოდა. იგი წლების მანძილზე მოღვაწეობდა უნივერსიტეტში, იყო თსუ-ის კალათბურთელთა გუნდის მწვრთნელი. იდეა კალათბურთის ფედერაციამაც აიტაცა. ამ ასპარეზობისთვის

უნივერსიტეტი მოუწოდებს სტუდენტებს თხოვნით, რომ მათ უგულვებამტკიცონ უნივერსიტეტის კალათბურთის გუნდს, რაც მოთამაშეთათვის დიდი სტიმული იქნება.



სამ ევროპელ ქართველოლოგს თსუ-ის საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭა

მე-5 გვირგვინი

იოსტ გიპერტი რამდენიმე ხელნაწერის გამოცემულია. განსაკუთრებით აღსანიშნავია ახლახან გამოცემული პალოგრაფიული აღბოძრები, რომელიც ქართული პალიმფსესტების ტექსტს შეიცავს. იგი დღემდე თანამშრომლობს თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტთან, არის საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული ორი — ქართულ-გერმანული და ქართულ-გერმანულ-ფრანგული პროექტების კოორდინატორი.

არანაკლებ გამორჩეულია ფრანგი ქართველოლოგისა და პარიზის კათოლიკური უნივერსიტეტის პროფესორის ბერნარ უტიეს ღვაწლიც. მეცნიერს ძველი ქართული ლიტერატურისა და ენის საკითხებზე რამდენიმე ათეული ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული. ძველი ქართული ხელნაწერების მკვლევარი და გამოცემელი, ქართული კულტურის დიდი პოპულარიზატორი მეცნიერი სხვადასხვა დროს მონაწილეობდა არა ერთ ქართულ-ფრანგულ სამეცნიერო პროექტში, ინტენსიურად თანამშრომლობდა კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტთან და თსუ-ის ძველი ქართული ენისა და ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრებთან. იგი მონაწილეობდა ქართველოლოგიის საკითხებისადმი მიძღვნილ არა ერთ კონფერენციასა და სიმპოზიუმში, სადაც ქართულად წაკითხული მისი მოხსენებები ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა. მან ქართველი მეცნიერებისთვის ხელმისაწვდომი გახადა უცხოეთის საცავებში, კერძოდ, ვატიკანში, სინას მთაზე, ავსტრიაში, საფრანგეთსა და სომხეთში დაცული ხელნაწერები.

1975 წლიდან დახურვამდე ბერნარ უტიე იყო ჟურნალის „ბედი ქართლისა“ სამეცნიერო საბჭოს, ხოლო 1985 წლიდან დღემდე ჟურნალ „ქართველური და სომხური კვლევები“-ს სარედაქციო კომიტეტის წევრი. არის საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალ „ქართველოლოგიის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი. იგი ამჟამად გახლავთ დირექტორი და პასუხ-

ისმგებელი პირი ქართული ენის სწავლებაზე ლევილის უნივერსიტეტში; 1991 წლიდან ატარებს სირიული და ძველი ქართული ენის ინტენსიურ კურსებს საფრანგეთის რამდენიმე უნივერსიტეტში. 1996 წლიდან სულხან-საბა ორბელიანის სახელობის უნივერსიტეტის საპატიო პროფესორია, 1998 წლიდან კი გელათის მეცნიერებათა აკადემიის წევრია, — აღნიშნა პროფესორმა გიორგი ხუბუამ თავის გამოსვლაში.

ევროპელ მეცნიერებს თსუ-ის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭება მიულოცეს და ევროპაში ქართულ კულტურის პოპულარიზაციისთვის მადლობა გადაუხადეს აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ, პროფესორებმა: მზექალა შანიძემ, ვახტანგ იმნაიშვილმა, ელიგუჯა ხინთიბიძემ, მიხეილ ქურდიანმა და სხვებმა.

შეხვედრის ბოლოს თსუ-ის საპატიო დოქტორად აღიარებულმა ქართველოლოგებმა საქართველოს მიმართ საკუთარი დამოკიდებულება და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისადმი მადლიერება ქართულ ენაზე გამოხატეს.

„ქართველოლოგია მხოლოდ ეროვნული მეცნიერება როდია, მას საერთაშორისო დატვირთვაც აქვს. ჩემთვის დიდი პატივია მივიღო აღიარება იმ უნივერსიტეტისგან, რომელთანაც 35 წელი მაკავშირებს. მინდა გავიხსენო ჩემი მასწავლებლები თბილისში: ივანე იმნაიშვილი, ტოტო გუდავა, ალექსანდრე ონიანი, რომელიც მრავალი ათეული წლის განმავლობაში ჩემი მეგობარი და „დაუღალავი“ დამხმარე იყო. კარგ მოგონებად დამრჩა თამაზ გამყრელიძის საინტერესო სემინარები და მოხსენებები, რომელიც საშუალებას მაძლევდა შევეცნო, როგორი მნიშვნელოვანი ფუნქცია ჰქონდა მას, როგორც დასავლური ენათმეცნიერების შუამავალს საბჭოთა საქართველოში. მოგონებებს შესახებ შეიძლება დიდხანს მესაუბრო, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი ფურცელია იმისა, რასაც ჩემთვის ეს უნივერსიტეტი ნიშნავს, — აღნიშნა ვინფორმე ბუდენი. მან განსაკუთრებული სიყვარულით გაიხსენა აკაკი შანიძე, რომელ-

იც იზოლირებულ საბჭოთა საქართველოში წარმატებით აგრძელებდა ევროპის სამეცნიერო და აკადემიურ ტრადიციებს. „იმედი მაქვს, რომ ამ უნივერსიტეტის დამაარსებელთა განზრახვები და ღირებულებები დავინყვებას არ მიეცემა“, — განაცხადა ვინფორმე ბუდენმა. მეცნიერი ამჟამად მუშაობს საქართველოს შესახებ XII—XIII საუკუნეების ევროპული ტექსტების კომენტარებზე კრებულზე, რომელიც თითქმის მზადაა, ასევე, მეორე პროექტზე — „ქართველურ ენათა



ისტორიულ-შედარებითი გრამატიკა“.

თსუ-ის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭებისთვის მადლიერება გამოხატა იოსტ გიპერტმა. „ეს წოდება მავალდებულებს კვლავაც გავაგრძელო ჩემი მოღვაწეობა ქართველოლოგიის პოპულარიზაციისთვის და გერმანელი და ქართველი მეცნიერების თანამშრომლობის გაღრმავებისთვის. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმის გახსნაზე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უნივერსიტეტისა და უნივერსიტეტის ილია მეორემ ბრძანა, რომ საქართველოს მთავრობამ ყველანაირად მხარი უნდა დაუჭიროს უცხოეთში მოღვაწე ქართველოლოგებს და ქართველოლოგიურ ცენტრებს. ვფიქრობ, მხარდაჭ-

ერა ორმხრივი უნდა იყოს. ბოლო 15 წლის მანძილზე ქართველი მეცნიერები რამდენჯერმე მივლინებით იმყოფებოდნენ ფრანკ-ფურტის უნივერსიტეტში და დაგვეხმარნენ ქართველოლოგიის სასწავლო პროგრამის შემუშავებაში, რომელიც ამჟამად გერმანიაში კავკასიურ ენათა პირველი აკრედიტებული საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამა გახლავთ. მინდა, საგანგებოდ აღვნიშნო თსუ-ის პროფესორების: ვახტანგ იმნაიშვილისა და ზურაბ სარჯველადის წვლილი ამ საქმეში. მოხარული ვიქნები, თუ მომავალში, ამ პროგრამის ბაზაზე, ფრანკფურტის უნივერსიტეტსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის სტუდენტთა გაცვლითი პროგრამა განხორციელდება“, — განაცხადა იოსტ გიპერტმა. იგი 80-იანი წლებიდან თანამშრომლობს ქართველ მეცნიერებთან, რაც საკმაოდ რთულ და ხანგრძლივ პროცესთან იყო დაკავშირებული. იოსტ გიპერტმა ამ თანამშრომლობის დასტურად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს საჩუქრად გადასცა კავკასიის ალბანურ პალიმფსესტთა პირველი გამოცემის 2 ტომი, რომელიც, ერთ-ერთი საერთაშორისო პროექტის ფარგლებში, ამ უნივერსიტეტის პროფესორის ზაზა ალექსიძის ინიციატივითა და აქტიური მონაწილეობით გამოიცა. „იმედი მაქვს, რომ ასეთი თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება და ახალგაზრდა ქართველოლოგთა პროფესიული გაზრდის მყარ საფუძველს კვლავაც შექმნის“, — აღნიშნა იოსტ გიპერტმა.

უნივერსიტეტისადმი მადლიერება გამოხატა ბერნარ უტიემაც და აღნიშნა: „უკვე რამდენიმე წელია ქართველ მეცნიერებთან ერთად ვმუშაობ სახარების ქართულ ტექსტზე. ევროპაში მზადდება მარკოზის სახარების თარგმანი სხვადასხვა ენაზე, მათ შორის, ქართულ ენაზეც“, — განაცხადა ბერნარ უტიემ.

შეხვედრაზე მრავალგზის აღინიშნა, რომ ევროპელი ქართველოლოგებისა და ქართველ მეცნიერთა თანამშრომლობა კვლავაც გაგრძელდება და სამეცნიერო საზოგადოება, ალბათ, არა ერთი საინტერესო კვლევის მონაწილე გახდება.

განხილვა

პროფესორ თამაზ ხაზარაძის დაბადებიდან 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა



30 ნოემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის დიდ აუდიტორიაში გაიმართა პროფესორ თამაზ ხაზარაძის დაბადებიდან 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო. აქ შეიკრიბნენ თამაზ ხაზარაძის კოლეგები, ზოგადი ფიზიკის კათედრისა და ლაბორატორიების თანამშრომლები, თანაკურსელები, მისი ყოფილი ასპირანტები და მაგისტრანტები, მეგობრები და ნათესავები. საღამო მიჰყავდა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ზოგადი ფიზიკის ლაბორატორიის გამგეს, მეცნიერებათა დოქტორს იური პაპავას. მანვე დამსწრეთ მოუთხრო თამაზ ხაზარაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითად მომენტებზე: „თამაზ

ხაზარაძის მოღვაწეობაში ორი ძირითადი მიმართულება უნდა გამოვყოთ, რომლებიც მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან — თამაზი, როგორც ლექტორი და თამაზი, როგორც სახელმძღვანელოების ავტორი“. მანვე მადლობა გადაუხადა გამოცემულ „ინტელექტის“ დირექტორს, მეცნიერებათა დოქტორს, ლიტერატურული პრემია „გალას“ წლევიანდელ ლაურეატს კახმეგ კუდავას და საგამომცემლო ჯგუფს, რომელთა უანგარო დახმარებითა და ძალისხმევით მოხერხდა საინფორმაციო კრებულის გამოცემა უმოკლეს ვადაში.

თამაზ ხაზარაძის თანაკურსელებმა, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორმა მერაბ კვიციანიძემ და საქართველოს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ცენტრალური ინსტიტუტის აღმასრულებელმა დირექტორმა ლევან მნათობიშვილმა გაიხსენეს საინტერესო ეპიზოდები სტუდენტური ცხოვრებიდან, ასევე, მოგზაურობა ქერჩში, სადაც ისინი ცდილობდნენ მიეკვლიათ ომში დაღუპული თამაზის მამის საფლავისთვის (სამწუხაროდ, თამაზის ეს მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა).

საქართველოს მოსწავლე-ფიზიკოსთა ოლიმპიური გუნდის მთავარი მწვრთნელი ნიკო ჩხაიძე შეეხო ბატონი თამაზის მოღვაწეობის კიდევ ერთ მნიშვნელოვან სფეროს — მოსწავლეთა რესპუბლიკური ოლიმპიადების ორგანიზებას. კახმეგ კუდავამ დამსწრეთ მოუთხრო, თუ როგორი ყურადღებით ეკიდებოდა ბატონი თამაზი სტუდენტთა პედაგოგიურ პრაქტიკას, როგორი არასტანდარტული შეფასებები ჰქონდა: „მიუხედავად გაკვეთილზე დაშვებული შეცდომებისა, მან სტუდენტში მომავალი მასწავლებელი დაინახა“. მეცნიერებათა დოქტორმა თორე ნაფეტვარიძემ ხაზი გაუსვა ბატონი თამაზის იშვიათ პუნქტუალობასა და სიზუსტეს ფიზიკური ამოცანების მათემატიკური ფორმულირებისას. მეცნიერებათა დოქტორმა ჯემალ სოლოლაშვილმა ისაუბრა ბატონი თამაზის მეცნიერული საქმიანობის ადრინდელ პერიოდზე, გაიხ-

სენა ერთობლივი ექსკურსიები საქართველოს ისტორიულ ადგილებში. პროფესორ თამაზ ხაზარაძის ხსოვნას ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ზოგადი ფიზიკის ლაბორატორიის გამგემ, მეცნიერებათა დოქტორმა იური პაპავამ გამოხატო ნაღობი უძღვინა.

ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორის ღირსეული წარმომადგენელი, ფიზიკოსი, შესანიშნავი ნიგნების ავტორი, მომთხროვენი, ზოგჯერ მკაცრიც, მაგრამ ყოველთვის სამართლიანი — ასეთი იყო თამაზ ხაზარაძე. ყოველი ლექციისთვის ისე საგანგებოდ უზადებოდა (გარეგნულადაც კი!), თითქოს ეს მისი პირველი ლექცია ყოფილიყო. მისი ლექციები გამოირჩეოდა მრავალფეროვნებით — სადემონსტრაციო ცდები, სასწავლო ვიდეო მასალა, კოლოქვიუმებისთვის შემუშავებული ორიგინალური მეთოდები, სპეციალური ფაკულტატური სემინარები გამორჩეული სტუდენტებისთვის... მეთოდის ლაბორატორია რომ მისი მუდმივი ზრუნვის საგანი იყო. ხანძრისგან თითქმის განადგურებული ლაბორატორია 2 წელიწადში (თავის თანამშრომლებთან ერთად) აღადგინა.

ბატონი თამაზი დიდ დროს და ყურადღებას უთმობდა ასპირანტებთან და მაგისტრანტებთან მუშაობას. თემატიკაც აქტუალური ჰქონდა შერჩეული — საშუალო და უმაღლეს სკოლებში ფიზიკის სწავლების პრობლემატიკა. მისი აღზრდილი ასპირანტები და მაგისტრანტები წარმატებით მუშაობენ პედაგოგიურ სფეროში როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

თამაზ ხაზარაძემ ღირსეულად გააგრძელა მათე მირიანაშვილის მიერ დამკვიდრებული ტრადიციები, რომელსაც იგი თავის დიდ მასწავლებლად მიიჩნევდა. ბატონი თამაზი უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა სახელმძღვანელოების შექმნას, წლების მანძილზე ხეწდა, აუმჯობესებდა ცალკეულ ფრაგმენტებს — მისი ნიგნები კიდევ დიდხანს დარჩება სამაგისტრო ნიგნებად

ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობისა და სტუდენტებისთვის. („ლექტორების“ კურსს საფუძვლად დაუდო ძირითადი დებულებების მეთოდი, რომელიც ემსახურება ფიზიკის ერთიანობის წარმოქმნას და ხაზს უსვამს ინვარიანტობის პრინციპების უნივერსალურობას).

უკვე უკურნებელი სენით შეპყრობილი ბატონი თამაზი აგრძელებდა მუშაობას ზოგადი ფიზიკის კურსის ახალ გამოცემაზე, მაგრამ ამ ნიგნის მხოლოდ პირველი ნაწილის გამოცემა მოახსრო. ეს არის ორიგინალური სახელმძღვანელო, რომელსაც ანალოგი არ მოეძებნება. საჭირო იყო უდიდესი პედაგოგიური ალღო და მრავალწლიანი გამოცდილება, რათა ერთ კურსში გაერთიანებულიყო ფარდობობის თეორია, ელექტრომაგნიტური და ოპტიკური მოვლენები ციკარული და თანაც სახელმძღვანელო არ დამძიმებულიყო, ხელმისაწვდომი და გასაგები ყოფილიყო სტუდენტებისთვის.

„ზოგადი ფიზიკის კურსი. ნიგნი I“ მის გარდაცვალებამდე ორივე კვირით ადრე გამოვიდა. ავტორის სურვილის თანახმად, ნიგნი არ გაყიდულა, ტირაჟის ნაწილი საჩუქრად გადაეცა მაშინდელ წარჩინებულ სტუდენტებს, დანარჩენი დღემდე გამორჩეულ სტუდენტებს ურიგდებათ. ეს მისი ბოლო საჩუქარი იყო, თუმცა ასე ადრეც მოქცეულა: თავისი ნიგნის „რელატივისტური კლასიკური ფიზიკის საფუძვლები სასკოლო კურსში“ — მთელი ტირაჟი სკოლის მასწავლებლებს, მათ შორის, თავის ყოფილ სტუდენტებს დაუთმო. მისი ბოლო საქმიანობა მოსწავლეთა რესპუბლიკური ოლიმპიადა გამოდგა, რომლის დასკვნითი ტური მისივე გაიმართა და რომლის ფიურის თანამდგომარეობა ბატონი თამაზი გახლდათ. ამის შემდეგ მან მხოლოდ ერთი თვე იცოცხლა. მისი ნაადრევი წასვლა ამ ქვეყნიდან უდიდესი დანაკლისია ჩვენთვის — კოლეგებისთვის, მისი აღზრდილი სტუდენტების, მაგისტრანტებისა და ასპირანტებისათვის“.

არასდროს ჩაქრებიან „ხანთაძის ტალღები“...

არჩილ ხანთაძის სსოვნას

მსოფლიოს სამეცნიერო საზოგადოებას გამოაკლდა ღვაწლმოსილი მეცნიერი და პედაგოგი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეტეოროლოგია, კლიმატოლოგია და ოკეანოლოგის ყოფილი კათედრის გამგე, ღირსების ორდენის კავალერი (2003 წ.), პროფესორი არჩილ ხანთაძე. ოჯახმა დაკარგა მოსიყვარულე მეუღლე, მამა და ბაბუა, ქართულმა საზოგადოებამ კი თავმდაბალი, სამშობლოზე უსაზღვრო შეყვარებული, ეროვნული ტრადიციების პატივისმცემელი და თანამედროვედ მოაზროვნე პიროვნება, ნამდვილი მოქალაქე, თბილისელი.

არჩილ ხანთაძე დაიბადა 1935 წლის 22 ივლისს ქ. თბილისში, მოსამსახურის ოჯახში. 1954 წელს ოქროს მედლით დაამთავრა ვაჟთა 55-ე საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა მ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1960 წელს. შემდეგ იგი დაბრუნდა თბილისში და მუშაობდა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტში, პლაზმის ფიზიკის განყოფილებაში.

1965 წელს არჩილ ხანთაძემ ასპირანტურის დამთავრების გარეშე დაიცვა საკანდიდატო საკვალეფიკაციო ნაშრომი – „მაგნიტურ პირობებში მდებარე დინამიურად შესაძლებელი დინებების შესახებ“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, 5 წლის შემდეგ კი – სადოქტორო დინამიკის თემაზე: „გამტარი ატმოსფეროს დინამიკის ზოგიერთი საკითხები“ ქ. მოსკოვში აკად. შმიდტის სახელობის დედამიწის ფიზიკის ინსტიტუტში. 1972 წელს მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით, მ. ნოდის სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტში, გაიხსნა ატმოსფეროს მაღალი ფენების ფიზიკის ლაბორატორია.

1984 წელს, თსუ-ის რექტორატის მიწვევით, პროფ. არჩილ ხანთაძე სათავეში ჩაუდგა მეტეოროლოგია, კლიმატოლოგია, ოკეანოლოგიის კათედრას, რომელსაც თითქმის სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა.

ამ პერიოდში პროფ. არჩილ ხანთაძეს მოუწია ფუნდამენტური გეოგრაფიის მრავალ საკითხზე მუშაობა. ფიზიკისა და მათემატიკის ღრმა ცოდნის საფუძველზე მას არაერთი მნიშვნელოვანი სამეცნიერო პრობლემა გადაუწყვეტია ამ სფეროში, კერძოდ, გლობალური დათბობის პროცესის ფიზიკური მოდელირებისას. ცნობილი სათბურის ეფექტი მიიღო ანალიზურ ამოხსნებში და აჩვენა ამ ფენომენის დროში განვითარების ხასიათი; ნიადაგის არანრფივი სითბოგამტარობის განტოლების საფუძველზე, რომელიც შეიცავს კვადრატულ არანრფივობას, გაუდაბნობა, როგორც მინის დეგრადაციის ამოცანა, დაიყვანა ლანდაუ-სამარსკის ცნობილ არანრფივ ამოხსნამდე, რომელმაც საშუალება მისცა განესაზღვრა გაუდაბნობის გავრცელება სივრცესა და დროში, ნიადაგის ეროზიის გათვალისწინებით (ქარი, ნალექები, გვალვა, თავსხმა წვიმები, მენყურული მოვლენები და სხვა); ქართული გეოგრაფიისა და გეოფიზიკის მიერ დადგენილი კანონზომიერების (აცივება დასავლეთ საქართველოში და დათბობა აღმოსავლეთში) სამართლიანობა ანალიზურად დაამტკიცა მუსონური თეორიის გამოყენებით.

პროფ. არჩილ ხანთაძემ 1967 წელს ცნობილ ამერიკელ მეცნიერთან ტოლსტოისთან ერთდროულად და მისგან დამოუკიდებლად აღმოაჩინა როსბის ტიპის ნული ტალღები, ხოლო 1986-1991 წლებში ჩქარი ელექტრომაგნიტური პლანეტარული ტალღები, რომლებიც გამტარ ატმოსფეროში განაპირობებენ ელექტროდინამიურ ეფექტებს და დიდი სიზუსტით იძლევიან ბუნებრივი თუ ხელოვნური წყაროების და მათი ინტენსივობის განსაზღვრის შესაძლებლობას (მინისქვრები, ატომური და სამრეწველო აფეთქებები, ვულკანური ამოფრქვევები, მაგნიტური ქარიშხლები და სხვა). 1999-2001 წლებში დედამიწის სხვადასხვა ნერტილიდან გაშვებული 72 კოსმოსური ხომალდების მონაცემების საფუძველზე პროფ. ლ. ჩერნოგორის ჯგუფმა

(ხარკოვის სამეცნიერო ჯგუფი) ცალსახად დააფიქსირა იონოსფეროში ელექტრომაგნიტური პლანეტარული ტალღების არსებობა და მათ „ხანთაძის ტალღები“ უწოდა, შემდგომში იგივე დაადასტურეს ბრაზილიელმა მეცნიერებმა პროფ. ე. ფაგუნდესის ხელმძღვანელობით.

პროფ. არჩილ ხანთაძემ შექმნა ქართული სამეცნიერო სკოლა ატმოსფეროს მაღალი ფენებისა და მეტეოროლოგიის დარგში, რომელიც საყოველთაოდ არის აღიარებული როგორც ჩვენთან, ასევე უცხოეთში (მომზადებული ყავს მეცნიერებათა 13 დოქტორი). მას, მსოფლიოს ნამყვან სამეცნიერო ჟურნალებსა და კრებულებში, სხვადასხვა ენაზე გამოქვეყნებული აქვს 2 მონოგრაფია და 200-ზე მეტი სტატია, მათ შორის 66 იმპაქტფაქტორიან ჟურნალებში. არის მრავალი საერთაშორისო სიმპოზიუმისა და კონფერენციის მონაწილე, მჭიდრო კავშირები აქვს დამყარებული მსოფლიოს ნამყვან სამეცნიერო ინსტიტუტებსა და კვლევით ცენტრებთან (აშშ, ისრაელი, იაპონია, რუსეთი და სხვა). მისი ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით გენერლებულია 9 საერთაშორისო მნიშვნელობის სამეცნიერო პროექტი. არის 8 გამოგონების ავტორი და თანავტორი.

იგი საზოგადოებრივ საქმიანობასაც წარჩინებით ართმევდა თავს, აქვეყნებდა სტატიებს და კითხულობდა სამეცნიერო-პოპულარულ საჯარო ლექციებს ისეთ აქტუალურ საკითხებზე, როგორცაა: „კლიმატის გლობალური დათბობა და ბუნებრივი კატასტროფები“, „გაუდაბნობის პრობლემა საქართველოში და ნიადაგის ეკოლოგიური დაბინძურება“, „თანამედროვე მსოფლიო ცივილიზაციის დაღუპვის საშიშროება“, „საქართველოს მდგრადი განვითარების ეკონომიური პოლიტიკის შესახებ“ და ა.შ.

პროფ. არჩილ ხანთაძის სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ კარგად არის მოცემული ტომსონის ინსტიტუტის მონაცემთა ბაზაში, სადაც შესულია არჩილ ხანთაძის 39 სტატია, ხოლო ციტირების ინ-



დექსია 36, რაც მიუთითებს მეცნიერის მაღალ საერთაშორისო რეიტინგზე.

მძიმე სენით შუპყრობილს, ბატონ არჩილს სიცოცხლის ბოლო წუთამდე არ უღალატია საყვარელი საქმისთვის — მეცნიერებისთვის, რომელსაც მთელი შეგნებული ცხოვრება მიუძღვნა. მისი მეცნიერებაში დამკვიდრებული ადგილი იარსებებს მანამ, სანამ არ ჩაქრებიან „ხანთაძის ტალღები“.

ბატონი არჩილის ნათელი სსოვნა მარად დარჩება მისი მეგობრების, კოლეგებისა და თანაგუნდელების მეხსიერებაში, ხოლო მის მიერ განვლილი გზა და ცხოვრების წესი მაგალითი გახდება დამწყები მეცნიერებისთვის.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა ჯგუფი

უნივერსიტეტისთვის დახარჯული დრო დაკარგული არ არის...

გიორგი ბარელაძის გახსენება



სულ ახლახანს გარდაიცვალა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების მართვისა და სამეცნიერო კვლევების სამსახურის უფროსი სპეციალისტი, ღირსების ორდენის კავალერი, მათემატიკის ოლიმპიური ნაკრების მწვრთნელი, ასისტენტ-პროფესორი გიორგი ბარელაძე. მისი კოლეგები და მეგობრები დიდი გულსიტყვილით იხსენებენ გიორგი ბარელაძეს — როგორც თავისი საქმის პროფესიონალს, რაფინირებულ ინტელიგენტსა და კაცთმოყვარე პიროვნებას.

ბატონი გიორგი მეტად ნაყოფიერ პედაგოგიურ, ორგანიზატორულ და სამეცნიერო მუშაობას ეწეოდა. მისი ავტორობით შესრულებული სამეცნიერო შრომები და სასკოლო სახელმძღვანელოები ღრმა ინტერესისა და შესწავლის საგანს წარმოადგენდა სპეციალისტთა შორის. სამეცნიერო მუშაობასთან ერთად ბატონი გიორგი ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა. წლების განმავლობაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კითხულობდა ძირითად და სპე-

ციალურ კურსებს. იგი ღრმად ერუდირებული მეცნიერი და პედაგოგი გახლდათ. განსაკუთრებით ფასდაუდებელია მისი ღვაწლი მათემატიკის ოლიმპიური სასკოლო ნაკრების მომზადებისა და საერთაშორისო ოლიმპიადებზე წარმატებების მიღწევის საქმეში.

სიცოცხლის ბოლომდე ბატონი გიორგი აქტიურად იყო ჩართული უნივერსიტეტში მიმდინარე რეფორმაში. ამ მიმართულებით ფაკულტეტისთვის ფასდაუდებელი იყო მისი ენერგიული და მოქნილი ქმედებები სასწავლო პროცესის დახვეწის საქმეში.

ბატონი გიორგი რაფინირებული ინტელიგენტი და კაცთმოყვარე პიროვნება გახლდათ. გამოირჩეოდა უდიდესი შრომისმოყვარეობით, ღრმა ინტუიციით, სისადავითა და თავმდაბლობით. ეს თვისებები განაპირობებდნენ მის დიდ ავტორიტეტს სპეციალისტთა ფართო წრეში.

გიორგი ბარელაძის გარდაცვალების შესახებ ცნობამ თავზარი დასცა არა მარტო მის ახლობლებს, კოლეგებსა და მეგობრებს, არამედ ყველა იმ ადამიანს, რომელსაც მასთან სულ მცირე ნაცნობობაც კი აკავშირებდა, რადგანაც გიორგი იყო უაღრესად დახვეწილი, კეთილშობილი, ბრძენი ადამიანი — ამ სიტყვების სრული გაგებით. მასთან ურთიერთობის ყოველი წუთი დიდ გაკვეთილად და სასიამოვნო მოგონებად რჩება მისი მოსწავლეებისთვის. დიდად სამწუხარო და დასანანი, რომ ბატონი გიორგი თავისი ნიჭიერების ზეობისა და ნაყოფიერი მოღვაწეობის პერიოდში უდროოდ წავიდა ამ ქვეყნიდან, თუმცა დატოვა ნათელი კვალი იმ გზაზე, რომელსაც მიუყვებოდნენ მისი ადამიანური ურთიერთობების სიბრძნით, ღირსებით და შემწყნარებლობით და სიბრძნით, ღირსებით და შემწყნარებლობით, კოლეგები და მოსწავლეები.

მისი ნათელი სსოვნა დარჩება ჩვენი ქვეყნისთვის უმნიშვნელო და ნაყოფიერი მოღვაწეობის შესანიშნავ მაგალითად.

თსუ-ის მათემატიკური ანალიზის მიმართულუბის თანამშრომლები

გია ბარელაძის გარდაცვალება მოულოდნელი და თავზარდამცემი იყო ყველასთვის, ვინც მას იცნობდა. ყველა სინანულით ამბობდა: რა დაემართა, რა კარგი, რა შესანიშნავი ადამიანი იყო. მისი ცხოვრების გზა მარტივი არ ყოფილა - პატივისცემა საქმისადმი პროფესიული და ადამიანებისადმი კეთილშობილი დამოკიდებულებით დაიმსახურა. იცნობდა ბევრს და საქმეც ყოველთვის ბევრი ჰქონდა, განსაკუთრებით უნივერსიტეტში მიმდინარე რეფორმის პერიოდში. უნივერსიტეტისთვის სასიკეთო საქმის შესრულებაზე უარს არასოდეს უთქვამს: - კარგი საქმეა, ამაზე დახარჯული დრო დაკარგული არ არის, დღეს თუ არ გამოვა, ხვალ გამოდგებაო. დროს უფრთხილდებოდა და ყველაფრისთვის პოულობდა: ოჯახისთვის, მეგობრებისთვის, საქმისთვის. ხშირად ვეკითხებოდი: — გია ამდენს როგორ ასწრებ-მეთქი. ისიც თავისი ალალი ღიმილით ამბობდა: — სხვაგვარად არ გამოვა, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ირაკლი (შვილი) რომ გაიზრდება, რას მეტყვისო. სამწუხაროდ, შვილის დაუაჟაყვებლად გია ვერ მოესწრო... დარწმუნებული ვარ, გია ბარელაძის მიერ დატოვებული ნათელი სსოვნა წინ დახვდება.

რამაზ გომორიძე
თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი

არიან ადამიანები, ვისაც ჩვენს ცხოვრებაში ბევრად უფრო მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, ვიდრე გვგონია. ამის აღქმა ხშირად ძალიან გვიან მოდის. მე მხოლოდ დღეს ვაცნობიერებ სრულად, რა უზარმაზარი სიკეთე და სინათლე შემოპქონდა გიას ჩემს ცხოვრებაში და არა მარტო ჩემს ცხოვრებაში. მისი ღიმილი ათბობდა ყველას, ვინც მის ირგვლივ იყო. ის თითქოს სულიერი მოძღვარი გახლდათ, რომელიც არა სიტყვით, არამედ თავისი საქმით და მაგალითით გვიჩვენებდა ჭეშმარიტი სიკეთის გზას.

გიას ახალგაზრდობის წლებიდან ვიცნობდი. ხშირად არის, ადრეულ ასაკში დამეგობრებული ადამიანები ნელ-ნელა შორდებიან ერთმანეთს. აღმოჩნდება, რომ მათი საერთო ინტერესები და ფასეულობები დროებითი და წარმავალი ყოფილა. სხვა ურთიერთობა იყო გიასთან. ის სიბოძო და სიკეთე, რასაც იგი აძლევდა მეგობრებს, მისი ინტელექტი და სიღრმე — ეს იყო ცხოვრების ის ჭეშმარიტი აზრი და ძირი, რაც დროთა განმავლობაში უფრო მეტად კრისტალდება და მეტ მნიშვნელობას იძენს.

გია იყო ჩემი წიგნის პირველი მკითხველი, რომელიც ახალგაზრდობისთვის დაინერა. უფრო მეტიც, წიგნის წერის დროს გონებაში წარმოგვენილი მყავდა ორი ადამიანი, რომელთაც ვუყვებოდი ამ ამბავს. ერთი იყო ახალგაზრდა ადამიანი, აბსტრაქტული პიროვნება, მეორე კი იყო გია. მაინტერესებდა, როგორ დაინახავდა ამას იგი, როგორ მოყვებოდა ამ ამბავს თვითონ და ეს შეგრძნება რჩება დღესაც. დღესაც, როდესაც რაღაცას ვაკეთებ, ვფიქრობ, ნება როგორ მოიქცეოდა გია, რა რჩევას მომცემდა. და შემდეგ უცებ მოდის მწარე აღქმა რეალობისა.

ერთი რამე რჩება სანუგეშოდ: მან იცხოვრა ლამაზი ცხოვრებით, ჯანსაღმა სულით და ხორციით, თესა სიკეთე და სიკეთე მოიმკა. და დატოვა ეს ქვეყანა უფრო ლამაზი და კეთილი, ვიდრე ის აქამდე იყო. მან გააკეთა ყველაფერი, რისი გაკეთებაც ერთ ადამიანს ძალუძს:

მას უყვარდა — ყოველგვარი პომპეზურობის გარეშე.

მას სწამდა — გარეგანი მოჩვენებითობის გარეშე.

იგი ქმნიდა — სამაგიეროს მოთხოვნის გარეშე.

იგი წავიდა — მშვიდად და უხმაუროდ, თითქოს ფრთხილად მიიხურა კარი.

იგი დარჩა — თავისი ღიმილით, კვლავ სიკეთისა და სიყვარულის მთესველად.


ამირან ამბროლაძე
თსუ-ის მათემატიკური ანალიზის მიმართულების ყოფილი თანამშრომელი

მეცნიერთა ჯგუფმა, კალიფორნიისა და იერუსალიმის უნივერსიტეტების პროფესორის ბორის რუბინსკის ხელმძღვანელობით, შეიმუშავა ახალი ტექნოლოგია, რომელსაც სამედიცინო სკანერებით მიღებული ინფორმაციის მობილურ ტელეფონზე გადატანა შეუძლია. ჟურნალ PLOSO-ში გამოქვეყნებულ სტატიაში ინოვაციის შემქმნელებს საინტერესო ფაქტები მოჰყავთ. როგორც აღნიშნავენ, ადამიანის შინაგანი ორგანოების კვლევის აპარატურა სწრაფად ვრცელდება, მაგრამ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, იგი პლანეტის მოსახლეობის მხოლოდ მეოთხედს ყოფნის. რუბინსკის აზრით, თანამედროვე სამედიცინო ტექნიკა ამა თუ იმ გამოსახულებას ქმნის და დიაგნოზთა 20%-ს ექიმები სწორედ მისი მეშვეობით სვამენ. ეს ტექნიკა კი, უმეტეს შემთხვევაში, ძალიან ძვირია, თანაც ყველგან მისი გამოყენება შეუძლებელია. სწორედ ამიტომ მეცნიერმა თავის კოლეგებთან ერთად შექმნა ახალი ტექნოლოგია, რომელიც ასეთ კვლევებს კიდევ გააიოლებს და კიდევ გააიფებს. ეს აპარატი ტომოგრაფიის საშუალებით ქსოვილთა მდგომარეობას აფიქსირებს და მობილურ ტელეფონს გადასცემს. ამ „ნედლ“ მასალას ტელეფონი, თავის მხრივ, სადაც შორს მდებარე მომსახურების ცენტრში აგზავნის, სადაც იგი დამუშავდება და პასუხს იგივე ტელეფონით დააბრუნებს.



„2006 წელს აღმოჩენილ სარკოვ-აგში, როგორც ჩანს, ნამდვილად მოციქული პეტრეს ნაშთია დაცული“, — განაცხადა რომის პაპმა. პონტიფიკოსმა დაადასტურა, რომ მეცნიერებმა ზონდის დახმარებით შეისწავლეს სარკოვავის შიგთავსი და დაადგინეს, რომ იგი ჩვენი წელთაღრიცხვის I-II საუკუნის კუთვნილებაა. გაზეთ „Osservatore Romano“-ს მონაცემებით, რომის კატაკომბებში არქეოლოგებმა აღმოაჩინეს ფრესკა მოციქულ პავლეს უძველესი გამოსახულებით, რომელიც, სავარაუდოდ, ჩვენი წელთაღრიცხვის IV საუკუნითაა დათარიღებული. შეგახსენებთ, რომ მოციქული პავლე ჩვ.წ. 66 წელს რომში გარდაიცვალა. IV საუკუნის ბოლოს მის საფლავზე ბაზილიკა აიგო. 1832 წლის დიდი ხანძრის შემდეგ კი მოციქული პავლეს საფლავი დაკარგულად ითვლებოდა.


კომპანია Albengoa Solar-მა ააგო მსოფლიოში ყველაზე დიდი მზის ელექტროსადგური — კომპი, რომელსაც თავისი სიმძლავრით შეუძლია ელექტროენერგიით 10000 ოჯახი მოამარაგოს. კომპი, სახელად PS20, ესპანეთში, ქალაქ სევილიის შემოგარენში აიგო. კომპანიის წარმომადგენლის განცხადებით, ახალი მზის სადგური გამონაბოლქვის რაოდენობას, დაახლოებით, 12 ტონით შეამცირებს. კომპი დამონტაჟებულია 1255 ჰელიოსტატი, რომელიც არეკლილ მზის სხივებს 165 მეტრიანი კომპის ნვერზე აგებული კოლექტორისკენ მიმართავს. კოლექტორი, თავის მხრივ, წყალს ორთქლად გარდაქმნის და ტურბინას ამუშავებს.



ამერიკელმა მეცნიერებმა შექმნეს „სინთეტიკური ხე“, რომელსაც ათასჯერ უფრო მეტი მავნე გაზების შთანთქმა შეუძლია, ვიდრე ჩვეულებრივს. ასეთ ხეებს ფოთლების ნაცვლად სპეციალური კონტინერები აქვთ, რომელიც ქარის ქროლვის დროს CO2-ის მოლეკულებს იტაცებს, შემდეგ კუმშავს, აგრილებს და სპეციალურ ადგილას ინახავს. როგორც უკანასკნელმა კვლევებმა აჩვენა, მავნე გამონაბოლქვის თითქმის ნახევარი მთელ დედამიწაზე მიმოფანტული პატარა წყაროებიდან მოდის. კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორის ლაუს ლავნერის აზრით, დღესდღეობით ეს პროცესი უკონტროლოდ ვითარდება, ეს ხე კი ავტომობილებისა და თვითმფრინავების გამონაბოლქვის შეკრებას მოემსახურება. „ეს პროექტი CO2-ის უტილიზებას იქ შეძლებს, სადაც სხვა მეთოდები უძლურია“, — აღნიშნა პროფესორმა.



მომავალი რეაქტორი ნინო კაკულია მთავარი სამცხე-ჯავახეთის ატომური ელექტროსადგურის მშენებელია. მან 100 წლის პიანინოს თანხლებით იმღერა. თავად შემსრულებელმა კონცერტს ორიგინალური სახელი დაარქვა: „მონანილეობენ ორნი, ვინც საუკუნე მუხიკით იცხოვრა“. როგორც ცნობილია, იაპონია, სიცოცხლის ხანგრძლივობით, მსოფლიოში პირველად ადგილზეა და 100 წელს გადაცილებულ ადამიანთა რიცხვი აქ 36 ათასს აჭარბებს. „ეს ჩემი თაობის ინსტრუმენტი და, რა თქმა უნდა, ჩემს ხმას ის უფრო ეხამება“, — განაცხადა კონცერტის შემდეგ აიკო კანომ.




მომავალი რეაქტორი ნინო კაკულია მთავარი სამცხე-ჯავახეთის ატომური ელექტროსადგურის მშენებელია. მან 100 წლის პიანინოს თანხლებით იმღერა. თავად შემსრულებელმა კონცერტს ორიგინალური სახელი დაარქვა: „მონანილეობენ ორნი, ვინც საუკუნე მუხიკით იცხოვრა“. როგორც ცნობილია, იაპონია, სიცოცხლის ხანგრძლივობით, მსოფლიოში პირველად ადგილზეა და 100 წელს გადაცილებულ ადამიანთა რიცხვი აქ 36 ათასს აჭარბებს. „ეს ჩემი თაობის ინსტრუმენტი და, რა თქმა უნდა, ჩემს ხმას ის უფრო ეხამება“, — განაცხადა კონცერტის შემდეგ აიკო კანომ.



მეცნიერთა საერთაშორისო ჯგუფმა გამოაქვეყნა კვლევის შედეგები, რის მიხედვითაც, უკანასკნელი ორმოცდაათი წლის მანძილზე, მსოფლიო ოკეანის ტროპიკულ ზონებში ჟანგბადის შემცველობამ 15%-ით დაიწია. მათი აზრით, ეს პირდაპირ დაემუქრება ეკვატორულ საზღვაო ეკოსისტემებს, რაც, თავის მხრივ, გლობალურ ეკოლოგიურ და ეკონომიკურ პრობლემებს წარმოშობს. სულ ცოტა ხნის წინ გაეროს ექსპერტებმა საზოგადოება გააფრთხილეს, რომ „მკვდარი ზონების“ (მსოფლიო ოკეანის მონაკვეთები, სადაც ჟანგბადის რაოდენობა კატასტროფულად შემცირებულია) რაოდენობა სწრაფად იზრდება. მიუხედავად ამისა, დოქტორ ჯანეტ სპრინტალის აზრით, მეცნიერებას ჯერ ვერ გაურკვევია — რატომ ვერ „იჭერს“ თბილი წყალი ჟანგბადს ისევე ეფექტურად, როგორც ცივი და ამ პროცესის ცალსახად გლობალურ დათბობასთან დაკავშირება ნაადრევია.

მეცნიერთა საერთაშორისო ჯგუფმა გამოაქვეყნა კვლევის შედეგები, რის მიხედვითაც, უკანასკნელი ორმოცდაათი წლის მანძილზე, მსოფლიო ოკეანის ტროპიკულ ზონებში ჟანგბადის შემცველობამ 15%-ით დაიწია. მათი აზრით, ეს პირდაპირ დაემუქრება ეკვატორულ საზღვაო ეკოსისტემებს, რაც, თავის მხრივ, გლობალურ ეკოლოგიურ და ეკონომიკურ პრობლემებს წარმოშობს. სულ ცოტა ხნის წინ გაეროს ექსპერტებმა საზოგადოება გააფრთხილეს, რომ „მკვდარი ზონების“ (მსოფლიო ოკეანის მონაკვეთები, სადაც ჟანგბადის რაოდენობა კატასტროფულად შემცირებულია) რაოდენობა სწრაფად იზრდება. მიუხედავად ამისა, დოქტორ ჯანეტ სპრინტალის აზრით, მეცნიერებას ჯერ ვერ გაურკვევია — რატომ ვერ „იჭერს“ თბილი წყალი ჟანგბადს ისევე ეფექტურად, როგორც ცივი და ამ პროცესის ცალსახად გლობალურ დათბობასთან დაკავშირება ნაადრევია.



მთავარი რეაქტორი ნინო კაკულია მთავარი სამცხე-ჯავახეთის ატომური ელექტროსადგურის მშენებელია. მან 100 წლის პიანინოს თანხლებით იმღერა. თავად შემსრულებელმა კონცერტს ორიგინალური სახელი დაარქვა: „მონანილეობენ ორნი, ვინც საუკუნე მუხიკით იცხოვრა“. როგორც ცნობილია, იაპონია, სიცოცხლის ხანგრძლივობით, მსოფლიოში პირველად ადგილზეა და 100 წელს გადაცილებულ ადამიანთა რიცხვი აქ 36 ათასს აჭარბებს. „ეს ჩემი თაობის ინსტრუმენტი და, რა თქმა უნდა, ჩემს ხმას ის უფრო ეხამება“, — განაცხადა კონცერტის შემდეგ აიკო კანომ.



მთავარი რეაქტორი	ნინო კაკულია	რეაქტორის მშენებელი	მისამართი: ილია ჭავჭავაძის გამზ. 11*
მთავარი სამცხე-ჯავახეთის ატომური ელექტროსადგურის მშენებელი	მთავარი სამცხე-ჯავახეთის ატომური ელექტროსადგურის მშენებელი	რისმაგ გორდუზიანი, ნოდარ ბელქანი, იაგო კაჭკაჭიშვილი, ლადო მინაშვილი, დიანა ძიძიგური, ნოდარ ხადური, ნინო ჩიხლაძე, თემურ ნადარეიშვილი, ნანა ჭილაძე, თეა ჯუღელი	(თსუ-ის მე-3 კორპუსი)
ტექნიკური რეაქტორი	მანანა ჯურხაძე		22 36 62
ფოტოკომპოსტინგი	სალომე მახარაძე		
კომპიუტ. უზრუნველყოფა	თამარ ქავჭავაძე		